Researching education, improving learning

# საქართველო გლობალურ საგანმანათლებლო რუკაზე

## მოსწავლეთა მიღწევები, ტენდენციები და გამოწვევები

I სერია

TIMSS 2023-ის გაკვეთილები

# სერიის შესახებ

## TIMSS 2023: საქართველო გლობალურ საგანმანათლებლო რუკაზე – მოსწავლეთა მიღწევები, ტენდენციები და გამოწვევები

ხარისხიანი და თანაბრად ხელმისაწვდომი განათლება მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში გადამწყვეტ როლს ასრულებს მოსწავლის მომავალ წარმატებაში. იმისათვის, რომ გავიგოთ, რამდენად უახლოვდება განათლების სისტემა ამ მიზანს, საჭიროა აკადემიური მიღწევების, სწავლა-სწავლების პროცესისა და განათლების ხელმისაწვდომობის ფართომასშტაბიანი, რეგულარული და სანდო შეფასება; ამის უნიკალურ შესაძლებლობას TIMSS-ი (Trends in International Mathematics and Science Study) იძლევა.

TIMSS-ი აფასებს მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების ხარისხსა და შედეგებს. ეს კვლევა 60-ზე მეტ ქვეყანაში ტარდება და პოლიტიკის განმსაზღვრელებსა თუ განათლების სისტემის წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს, მიიღონ მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები და უზრუნველყონ მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისთვის.

საქართველო TIMSS-ის კვლევაში 2007 წლიდან მონაწილეობს.

ამ სერიაში გაანალიზებულია 2007-2023 წლებში მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების დინამიკა, დეტალურადაა აღწერილი TIMSS 2023 წლის ციკლში მოსწავლეთა მიღწევები მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში. წარმოდგენილი მონაცემები ასახავს როგორც პროგრესს, ისე არსებულ გამოწვევებს და ქმნის მტკიცებულებაზე დაფუძნებულ ჩარჩოს იმის გასააზრებლად, სად ვიმყოფებით დღეს, რა გზა გამოვიარეთ და როგორ შეიძლება ვიმოქმედოთ უკეთესი განათლების სისტემის შესაქმნელად მომავალში. კვლევა ცხადად მიუთითებს სისტემური გაუმჯობესების გზების ძიების აუცილებლობაზე, რაც გულისხმობს როგორც განათლების პოლიტიკის, ისე სკოლის პრაქტიკის გადახედვასა და განვითარებას თითოეული მოსწავლის წარმატების უზრუნველსაყოფად.

*კვლევის მიგნებებისა და მოკლე შეჯამების გასაცნობად იხილეთ* **შეჯამება**

*ამ თავში წარმოდგენილი TIMSS 2023-ის შედეგების მიმოხილვა - მათ შორის, ქვეყნების რეიტინგები და მიღწევის საერთაშორისო საფეხურების მიხედვით მონაცემები - ძირითადად ეფუძნება საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების საერთაშორისო ასოციაციის (International Association for the Evaluation of Educational Achievement — IEA) მიერ მომზადებულ საერთაშორისო ანგარიშს* (https://www.iea.nl/studies/iea/timss/timss2023).

***ანგარიში მომზადდა საგანმანათლებლო კვლევების ეროვნული ცენტრის მიერ***

*კვლევის კოორდინატორები: მამუკა ჯიბლაძე და გიორგი ნადარეიშვილი*

*ანგარიში მოამზადეს:* ია კუტალაძე, თეონა მიმინოშვილი
*დიზაინი:* ქეთი ხარებავა

# სარჩევი


სერიის შესახებ...................................................2

გრაფიკები და ილუსტრაციები ...................................................5

მონაწილე ქვეყნები ...................................................6

**როგორია მოსწავლეთა მიღწევები მათემატიკაში?...................................................7**

მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით შედგენილი ქვეყნების რეიტინგული სია ........................8

მიღწევის საერთაშორისო საფეხურები ...................................................14

მიღწევების ტრაექტორია: როგორ შეიცვალა ქართველი მოსწავლეების შედეგები მათემატიკაში 2007-2023 წლებში ...................................................18

მოსწავლეთა მიღწევები მათემატიკის შინაარსობრივი სფეროების მიხედვით .....................20

მოსწავლეთა მიღწევები კოგნიტური სფეროების მიხედვით ...................................................24

**როგორია მოსწავლეთა მიღწევები საბუნებისმეტყველო საგნებში?....................................28**

მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით შედგენილი ქვეყნების რეიტინგული სია ......................29

მიღწევის საერთაშორისო საფეხურები ...................................................32

მიღწევების ტრაექტორია: როგორ შეიცვალა ქართველი მოსწავლეების შედეგები საბუნებისმეტყველო საგნებში 2007-2023 წლებში ...................................................36

მოსწავლეთა მიღწევები საბუნებისმეტყველო საგნების შინაარსობრივი სფეროების მიხედვით.................. ...................................................38

მოსწავლეთა მიღწევები კოგნიტური სფეროების მიხედვით ...................................................43

**შეჯამება: რას გვიყვება TIMSS-ის შედეგები ქართველი მოსწავლეების შესახებ? .................47**

# გრაფიკები და ილუსტრაციები

**ილუსტრაცია 1**. მიღწევის საშუალო ქულის მიხედვით შედგენილი ქვეყნების რეიტინგული სია (მე-4 კლასი) ....12
**ილუსტრაცია 2**. მიღწევის საშუალო ქულის მიხედვით შედგენილი ქვეყნების რეიტინგული სია (მე-8 კლასი) ....13
**ილუსტრაცია 3.** მოსწავლეთა მიღწევების საერთაშორისო საფეხურები (მე-4 კლასი) ....16
**ილუსტრაცია 4**. მოსწავლეთა მიღწევების საერთაშორისო საფეხურები (მე-8 კლასი) ....17
**ილუსტრაცია 5**. მათემატიკაში ქართველი მოსწავლეების მიღწევების დინამიკა ....19
**ილუსტრაცია 6.** მოსწავლეების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც დაძლიეს მიღწევის თითოეული საფეხური (2007-2023 წლები) ....19
**ილუსტრაცია 7**. მოსწავლეთა საშუალო მიღწევები მათემატიკის შინაარსობრივი სფეროების მიხედვით (მე-4 კლასი) ....22
**ილუსტრაცია 8**. მოსწავლეთა საშუალო მიღწევები მათემატიკის შინაარსობრივი სფეროების მიხედვით (მე-8 კლასი) ....23
**ილუსტრაცია 9**. მოსწავლეთა საშუალო მიღწევები მათემატიკის კოგნიტური სფეროების მიხედვით (მე-4 კლასი) ....26
**ილუსტრაცია 10**. მოსწავლეთა საშუალო მიღწევები მათემატიკის კოგნიტური სფეროების მიხედვით (მე-8 კლასი) ....27
**ილუსტრაცია 11**. მიღწევის საშუალო ქულის მიხედვით შედგენილი ქვეყნების რეიტინგული სია (მე-4 კლასი) ....30
**ილუსტრაცია 12.** მიღწევის საშუალო ქულის მიხედვით შედგენილი ქვეყნების რეიტინგული სია (მე-8 კლასი) ....31
**ილუსტრაცია 13**. მოსწავლეთა მიღწევების საერთაშორსიო საფეხურები (მე-4 კლასი) ....33
**ილუსტრაცია 14.** მოსწავლეთა მიღწევების საერთაშორისო საფეხურები (მე-8 კლასი) ....34
**ილუსტრაცია 15**. საბუნებისმეტყველო საგნებში ქართველი მოსწავლეების მიღწევების დინამიკა ....36
**ილუსტრაცია 16.** მოსწავლეების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც დაძლიეს მიღწევის თითოეული საფეხური (2007-2023 წლები) ....37
**ილუსტრაცია 17.** მოსწავლეთა საშუალო მიღწევები ბუნებისმეტყველების შინაარსობრივი სფეროების მიხედვით (მე-4 კლასი) ....39
**ილუსტრაცია 18.** მოსწავლეთა საშუალო მიღწევები ბუნებისმეტყველების შინაარსობრივი სფეროების მიხედვით (მე-8 კლასი) ....40
**ილუსტრაცია 19**. მოსწავლეთა საშუალო მიღწევები კოგნიტური სფეროების მიხედვით (მე-4 კლასი) ....44
**ილუსტრაცია 20**. მოსწავლეთა საშუალო მიღწევები კოგნიტური სფეროების მიხედვით (მე-8 კლასი) ....45

## მონაწილე ქვეყნები



## როგორია მოსწავლეთა მიღწევები

# მათემატიკაში?

**ქართველი მოსწავლეების მიღწევების დინამიკა 16 წლის განმავლობაში**

# მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით შედგენილი ქვეყნების რეიტინგული სია

## სად ვიმყოფებით გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში და როგორ იცვლება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები მათემატიკაში?

ამ თავში წარმოდგენილია მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით შედგენილი გლობალური რეიტინგული სიის მიმოხილვა, რომელიც აერთიანებს იმ ქვეყნებისა და რეგიონების შედეგებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს TIMSS-2023 წლის შეფასებაში; მასში აღწერილია საქართველოს მიღწევები, არსებული გამოწვევები და განვითარების პოტენციალი. განხილვა იწყება TIMSS 2023 წლის ციკლში მათემატიკაში საშუალო მაჩვენებლების მიმოხილვით.

### *დაწყებითი საფეხური*

***საერთაშორისო შედეგები:*** 2023 წელს მეოთხეკლასელ მოსწავლეთა საშუალო მიღწევა მათემატიკაში *ყველა მონაწილე ქვეყნის შედეგის* გათვალისწინებით, 503 ქულაა (სტანდარტული შეცდომა 0.5). მათემატიკაში საშუალო მაჩვენებლის მიხედვით შედგენილი რეიტინგული სიის სათავეში, **როგორც მეოთხე, ასევე მერვე კლასის შემთხვევაში, აღმოსავლეთის ქვეყნებია** – სინგაპური, ჩინური ტაიბეი, კორეა, ჰონკონგი და იაპონია. მათი საშუალო მაჩვენებლები 100 და მეტი ქულით აღემატება საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელს.

***საქართველოს შედეგები:*** ქართველი მეოთხეკლასელების მიღწევების საშუალო მაჩვენებელია 498 (სტანდარტული შეცდომა 3.1); 95%-იანი ალბათობით შეიძლება ვთქვათ, რომ მეოთხეკლასელთა მიღწევა 492-დან 504 ქულამდე დიაპაზონშია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ **ქართველი მეოთხეკლასელების მიღწევები საერთაშორისო საშუალო ნიშნულზეა.**

მეოთხეკლასელთა შედეგი სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ განსხვავდება როგორც TIMSS-ის სტანდარტული სკალის საშუალო (500), ასევე მონაწილე ქვეყნების საერთაშორისო საშუალო მაჩვენებლისგან (503).

### *საბაზო საფეხური*

ქართველი **მერვეკლასელების** მიღწევების საშუალო მაჩვენებელი 467-ია (სტანდარტული შეცდომა 3.2); 95%-იანი ალბათობით მერვეკლასელთა მიღწევა 460-დან 473 ქულამდე დიაპაზონშია. ის არსებითად ჩამორჩება TIMSS-ის სკალის საშუალო (500) და TIMSS-ის საერთაშორისო საშუალო (478) მაჩვენებლებს.

## განმარტებები კვლევაში გამოყენებულ სტატისტიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებით

### საშუალო მიღწევა

TIMSS-ის კვლევაში, მიღწევის ტესტში მოსწავლეთა ქულები ***სტანდარტულ სკალაზეა განთავსებული, რომლის საშუალო ქულა 500-ია, სტანდარტული გადახრა კი – 100.*** ამ სკალაზე ხდება ყველა მოსწავლის მიერ მიღებული ქულების გადაყვანა/კონვერტაცია. ეს სტანდარტული სკალა ყველა ციკლში უცვლელი რჩება, რაც კვლევაში მონაწილე ქვეყნებს პროგრესის შეფასების საშუალებას აძლევს.

TIMSS-ის კვლევაში ცალკე ,,აღირიცხება“ ***მონაწილე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი***, რომელიც ასახავს კონკრეტულ ციკლში მოსწავლეთა საშუალო მიღწევებს ყველა მონაწილე ქვეყნის კონტექსტში. კვლევის ციკლიდან ციკლამდე მონაწილე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი შეიძლება შეიცვალოს; ეს ცვალებადობა შეიძლება სხვადასხვა ფაქტორით იყოს განპირობებული (მაგ., კვლევაში ახალი ქვეყნების ჩართვა, კონკრეტული მონაწილე ქვეყნების მიერ მიღწევების გაუმჯობესება ან გაუარესება და სხვა).

ამ ორ საშუალო მაჩვენებელს შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ **TIMSS-ის საერთაშორისო სკალა** მუდმივია (500) და უზრუნველყოფს ხანგრძლივი დროის განმავლობაში TIMSS-ის შედეგების შედარებადობას. **მონაწილე ქვეყნების საშუალო შედეგი** (საერთაშორიოს საშუალო) ცვალებადია და დამოკიდებულია კონკრეტული წლის მონაცემებზე. იგი აფასებს, როგორია ქვეყნების ზოგადი მიღწევები კვლევის კონკრეტულ ციკლში.

**შეფასების სიზუსტე**

საზოგადოდ, არ არსებობს მიღწევების ზუსტი საზომი და ყოველთვის შეიძლება გარკვეულმა ფაქტორებმა შეფასებაში ცდომილება გამოიწვიოს; ცხადია, TIMSS-შიც მოსწავლეთა მიღწევების შეფასება გარკვეული ცდომილებით ხდება; ცდომილებები ორი ძირითადი ფაქტორითაა განპირობებული:

- **შერჩევის ცდომილება** – TIMSS-ში სამიზნე ჯგუფის ყველა მოსწავლე არ მონაწილეობს, და ის გარკვეულ შერჩევაზე ტარდება, რაც განაპირობებს ე. წ. შერჩევის ცდომილებას – შერჩევის საფუძველზე მიღებული შედეგები შეიძლება მცირედით განსხვავდებოდეს მთლიანი (სამიზნე) პოპულაციის რეალური მონაცემებისგან. ამგვარი ცდომილება გარდაუვალია ნებისმიერ შერჩევით კვლევაში და მისი გავლენა შედეგების ინტერპრეტაციისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.

- **გაზომვის ცდომილება** – კვლევაში ჩართული ყველა მოსწავლე ასრულებს TIMSS-ის დავალებების მხოლოდ ნაწილს, რომელიც მისთვის განკუთვნილ ბუკლეტშია მოცემული[1] (TIMSS-ის ყველა დავალება ან უბრალოდ ყველა შესაძლო დავალების შესრულება ტესტირებისთვის განსაზღვრულ დროში შეუძლებელია). შესაბამისად, ინდივიდუალური მოსწავლის შედეგები ასახავს მხოლოდ ამ დავალებების შესრულების შედეგად მიღებულ ქულებს. ეს კი იწვევს ე. წ. გაზომვის ცდომილებას. ჩვენ არ ვიცით ყველა დავალების შესრულების შემთხვევაში, როგორი იქნებოდა მოსწავლის შედეგი. ეს ცდომილება აუცილებელად უნდა იყოს გათვალისწინებული შედეგების ანალიზისა და განზოგადების პროცესში.

ამ გარემოებების გამო, საშუალო მაჩვენებელი ყოველთვის წარმოდგენილია სტანდარტულ შეცდომასთან ერთად; ანუ მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით შედგენილ რეიტინგულ სიაში, ქვეყნის საშუალო მაჩვენებლისა და, შესაბამისად, ქვეყნის სარეიტინგო ადგილის დადგენა გარკვეული მიახლოებით, ცდომილებით ხდება. შედეგები, ჩვეულებრივ, 95%-იანი ნდობის ინტერვალითაა წარმოდგენილი.

[1] ასეთი ბუკლეტი კი TIMSS -ში 14-ია თითოეული კლასისთვის.

***TIMSS 2023: მათემატიკის ტესტის შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან***

TIMSS-ი ქროსკულტურული, შედარებითი კვლევაა და მისი შედეგების ინტერპრეტაციისა და ქვეყნების შედარებითი ანალიზის პროცესში გასათვალიწინებელია, რომ კვლევაში მონაწილე ყველა ქვეყანა და მოსწავლე ერთიდაიგივე ტესტს ასრულებს, მიუხედავად იმისა, რომ მათი ეროვნული სასწავლო გეგმები ხშირად ერთმანეთისგან და ასევე TIMSS 2023 ტესტის „კურიკულუმისგან" განსხვავდება.

TIMSS-ის მიზანია, უზრუნველყოს სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების სამართლიანი და ობიექტური შედარება. ამ მიზნის მისაღწევად კვლევის ფარგლებში კეთდება **ტესტისა და სასწავლო გეგმის შესაბამისობის ანალიზი (TCMA)**, რაც საშუალებას იძლევა რეიტინგული სია და მოსწავლეთა მიღწევები გაანალიზდეს არა მხოლოდ საშუალო ქულების მიხედვით, არამედ TIMSS 2023 ტესტისა და შედეგების ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიხედვით; ეს მნიშვნელოვანია შედეგების სწორი ინტერპრეტაციისა და საერთაშორისო შედარებების ადეკვატური გააზრებისთვის.

TIMSS 2023-ის ამოცანების შესაბამისობა სხვადასხვა ქვეყნის საგნობრივ სასწავლო პროგრამასთან განსხვავებულია[2]. მათემატიკაში საერთო სურათი ასეთია:

- ***მეოთხე კლასი:*** 51 ქვეყნიდან 39 ქვეყანასა და 2 რეგიონს აქვს TIMSS-ის ტესტსა და ეროვნულ სასწავლო გეგმას შორის არანაკლებ 75%-იანი შესაბამისობა, ხოლო რამდენიმე ქვეყანას აქვს 100% -იანი შესაბამისობა (51 ქვეყნიდან 9 ქვეყანას და 5 რეგიონიდან 3-ს).
- ***მერვე კლასი:*** 39 მონაწილე ქვეყნიდან 7-ს და ყველა მონაწილე რეგიონს აქვს 100%-იანი შესაბამისობა, ყველა დარჩენილ ქვეყანას ამოცანების არანაკლებ 75% არის პროგრამასთან შესაბამისი.

საქართველოს შემთხვევაში გვაქვს მნიშვნელოვანი შესაბამისობა ,,TIMSS-ის კურიკულუმსა" და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან როგორც მეოთხე, ისე მერვე კლასის მათემატიკაში. ეროვნული სასწავლო გეგმა მნიშვნელოვნად ფარავს იმ შინაარსობრივ სფეროებს, რაც ფასდება TIMSS-ის მიღწევის ტესტით - შესაბამისობა მეოთხე კლასში 81% -ია, მერვე კლასში - 93%.

**TCMA-ს შედეგები მიუთითებს, რომ უმეტეს შემთხვევაში, დავალებების შერჩევა (სასწავლო გეგმასთან მათი შესაბამისობა) მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს ქვეყნების შედარებით შედეგებზე.** ქვეყნები, რომლებიც ყველა დავალების საფუძველზე მაღალი ან დაბალი მიღწევებით გამოირჩეოდნენ მათემატიკასა თუ საბუნებისმეტყველო საგნებში, მსგავს რეიტინგს ინარჩუნებდნენ მაშინაც, როცა შეფასება მხოლოდ იმ დავალებების საფუძველზე კეთდება, რომლებიც თანხვედრაშია მათსავე სასწავლო გეგმებთან[3]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველმა მეოთხე კლასელებმა აჩვენეს უკეთესი შედეგები, ვიდრე მერვე კლასელებმა, მიუხედავად იმისა, რომ მერვე კლასთან შედარებით, მეოთხე კლასში ნაკლები იყო შესაბამისობა TIMSS-ის შინაარსობრივ ჩარჩოსა და ეროვნულ სასწავლო გეგმას შორის.

[2] https://timss2023.org/results/appendices/#appendixC .

[3] მიუხედავად იმისა, რომ TCMA-ს ფარგლებში ზოგიერთი ქვეყნის რეიტინგი მცირედით შეიცვალა, ეს სხვაობები უმეტესად მოხვდა შერჩევის შეცდომის ფარგლებში.

ეს შედეგები ცხადყოფს, რომ კურიკულუმის შინაარსობრივი შესაბამისობით ვერ აიხსნება მონაწილე ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს შედეგები; გადამწყვეტ როლს თამაშობს სწავლების ხარისხი, მეთოდოლოგია, სწავლაზე ორიენტირებული გარემო და სხვა ფაქტორები.

მათემატიკა • მე-4 კლასი

IEA TIMSS 2023

***ილუსტრაცია 1****. მიღწევის საშუალო ქულის მიხედვით შედგენილი ქვეყნების რეიტინგული სია (მე-4 კლასი)*

| | ქვეყანა | მათემატიკის საშუალო სკალური ქულა | 95% ნდობის ინტერვალი | სტანდ. გადახრა |
|---|---|---|---|---|
| 3 | სინგაპური | 615 (2.9) | 609 - 620 | 88 (1.7) |
| | ჩინური ტაიბეი | 607 (1.7) | 604 - 610 | 67 (0.8) |
| | კორეის რესპუბლიკა | 594 (2.6) | 589 - 600 | 75 (2.1) |
| † | ჰონკონგი | 594 (4.0) | 586 - 602 | 84 (2.2) |
| | იაპონია | 591 (2.3) | 586 - 595 | 71 (1.1) |
| | მაკაო | 582 (1.0) | 580 - 584 | 79 (1.0) |
| 2 | ლიეტუვა | 561 (2.9) | 555 - 566 | 76 (1.6) |
| 3 | თურქეთი | 553 (4.1) | 545 - 561 | 99 (2.0) |
| 2 | ინგლისი | 552 (2.7) | 547 - 557 | 92 (1.9) |
| 2 | პოლონეთი | 546 (2.0) | 542 - 550 | 76 (1.1) |
| | ირლანდია | 546 (2.9) | 540 - 551 | 82 (1.6) |
| 2 ≡ | რუმინეთი | 542 (4.8) | 532 - 551 | 85 (2.2) |
| † | ნიდერლანდები | 537 (2.0) | 533 - 541 | 65 (1.3) |
| | ლატვია | 534 (2.8) | 529 - 540 | 77 (1.4) |
| 2 | ნორვეგია | 531 (2.0) | 527 - 534 | 74 (1.0) |
| 2 | ჩეხეთის რესპუბლიკა | 530 (2.2) | 526 - 535 | 74 (1.0) |
| 2 | შვედეთი | 530 (2.8) | 524 - 535 | 76 (1.6) |
| | ბულგარეთი | 530 (3.6) | 523 - 537 | 91 (3.1) |
| | ფინეთი | 529 (2.5) | 524 - 534 | 80 (1.3) |
| | ავსტრალია | 525 (2.6) | 520 - 530 | 91 (1.8) |
| | გერმანია | 524 (2.1) | 520 - 528 | 75 (1.5) |
| † | დანია | 524 (2.1) | 520 - 528 | 72 (1.1) |
| 2 | სერბეთი | 523 (3.3) | 516 - 529 | 80 (1.9) |
| 2 † | ბელგია (ფლამანდრიული) | 521 (2.4) | 516 - 526 | 71 (1.4) |
| | უნგრეთი | 520 (3.6) | 513 - 527 | 91 (2.5) |
| | პორტუგალია | 517 (2.8) | 512 - 523 | 82 (1.4) |
| 2 † | აშშ | 517 (3.1) | 511 - 523 | 97 (1.2) |
| 2 | კვიპროსი | 516 (2.5) | 511 - 521 | 81 (1.3) |
| | სლოვაკეთის რესპუბლიკა | 515 (3.1) | 509 - 521 | 81 (2.2) |
| | სლოვენია | 514 (1.8) | 510 - 517 | 73 (0.9) |
| 2 | იტალია | 513 (2.8) | 508 - 519 | 80 (1.3) |
| 2 | სომხეთი | 513 (2.8) | 507 - 518 | 70 (1.5) |
| 2 ≡ | ალბანეთი | 512 (4.9) | 502 - 521 | 81 (3.0) |
| 1 3 | კანადა | 504 (2.0) | 500 - 508 | 81 (1.1) |
| 2 | ესპანეთი | 498 (2.1) | 494 - 502 | 75 (1.3) |
| | არაბეთის გაერთ. საემიროები | 498 (1.2) | 496 - 501 | 107 (0.8) |
| 1 | **საქართველო** | **498 (3.1)** | **492 - 504** | **79 (1.6)** |
| | აზერბაიჯანი | 494 (3.5) | 487 - 501 | 91 (1.8) |
| 2 † | ახალი ზელანდია | 490 (2.6) | 485 - 495 | 91 (1.2) |
| 2 | ბელგია (ფრანგული) | 489 (2.4) | 485 - 494 | 76 (1.3) |
| 2 | ყაზახეთი | 487 (3.6) | 480 - 494 | 87 (1.9) |
| 2 | საფრანგეთი | 484 (2.9) | 478 - 490 | 77 (1.3) |
| 2 | მონტენეგრო | 477 (2.1) | 473 - 481 | 76 (1.2) |
| | ჩრდილოეთ მაკედონია | 474 (3.6) | 467 - 481 | 85 (1.6) |
| | ყატარი | 464 (3.5) | 457 - 471 | 97 (1.9) |
| | ბაჰრეინი | 462 (4.1) | 453 - 470 | 99 (2.4) |
| 2 | კოსოვო | 451 (3.4) | 445 - 458 | 80 (2.1) |
| 1 | ბოსნია და ჰერცეგოვინა | 447 (3.2) | 441 - 453 | 75 (1.6) |
| 2 † | ჩილე | 444 (2.8) | 438 - 449 | 80 (1.4) |
| | უზბეკეთი | 443 (3.2) | 437 - 450 | 82 (1.4) |
| | იორდანია | 427 (5.3) | 417 - 437 | 101 (3.1) |
| | ომანი | 421 (4.0) | 413 - 429 | 99 (2.3) |
| Ψ | ირანის ისლამური რესპუბლიკა | 420 (4.2) | 411 - 428 | 98 (2.1) |
| 3 | საუდის არაბეთი | 420 (4.2) | 411 - 428 | 94 (1.9) |
| 2 Ψ | ბრაზილია | 400 (3.4) | 393 - 407 | 90 (2.3) |
| | მაროკო | 393 (4.6) | 384 - 402 | 102 (2.5) |
| | ქუვეითი | 382 (4.4) | 373 - 391 | 115 (2.7) |
| | სამხრეთ აფრიკა | 362 (3.5) | 355 - 369 | 114 (2.5) |
| | **საერთაშორისო საშუალო** | **503 (0.4)** | **502 - 504** | |
| | **მონაწილე რეგიონები** | | | |
| | დუბაი, გაერთ. საემიროები | 557 (1.6) | 554 - 560 | 91 (1.1) |
| 2 | კვებეკი, კანადა | 515 (2.7) | 509 - 520 | 74 (1.2) |
| | შარჯა, გაერთ. საემიროები | 504 (3.3) | 498 - 510 | 96 (2.0) |
| 3 | ონტარიო, კანადა | 503 (3.4) | 496 - 509 | 82 (1.8) |
| | აბუ დაბი, გაერთ. საემიროები | 459 (1.9) | 455 - 462 | 108 (1.1) |

მათემატიკაში მიღწევების განაწილება




() ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული შეცდომა.

ქვეყნების მარცხნივ მითითებული აღნიშვნები:

რიცხვები 1, 2 და 3 შეესაბამება პოპულაციის დაფარვასთან დაკავშირებულ კომენტარებს (1 - სამიზნე პოპულაცია არ არის სრულად დაფარული. მაგ., საქართველოს შემთხვევაში კვლევაში მონაწილეობდნენ მხოლოდ ის მოსწავლეები, რომელთა სწავლების ენა ქართულია; 2 - ქვეყნის მასშტაბით კვლევისთვის შერჩეული პოპულაცია შეადგენს კვლევის სამიზნე პოპულაციის 90%-დან 95%-მდე; 3 - ქვეყნის მასშტაბით კვლევისთვის შერჩეული პოპულაცია შეადგენს კვლევის სამიზნე პოპულაციის 77%-დან 90%-მდე);

აღნიშვნები †, ‡, ≡ ეხება შერჩეული სკოლებისა და მოსწავლეების კვლევაში მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. TIMSS-ის სტანდარტების მიხედვით, შერჩეული სკოლებისა და მოსწავლეების მინიმუმ 85%-მა უნდა მიიღოს მონაწილეობა კვლევაში († - ქვეყანამ დააკმაყოფილა ეს სტანდარტი სათადარიგო სკოლების დამატებით; ‡ - ქვეყანამ თითქმის დააკმაყოფილა ეს სტანდარტი სათადარიგო სკოლების დამატებით; ≡ - ქვეყანამ ვერ დააკმაყოფილა ეს სტანდარტი);

აღნიშვნები Ψ და Ж მითითებულია იმ ქვეყნების გასწვრივ, სადაც დგას შედეგების სანდოობის საკითხი - ამ ქვეყნებში ძალიან მაღალია იმ მოსწავლეების რაოდენობა, რომელთა მიღწევა იმდენად დაბალია, რომ ვერ ხერხდება მათი შეფასება (Ψ - ასეთი მოსწავლეების რაოდენობა 15%-დან 25%-მდეა; Ж - ასეთი მოსწავლეების რაოდენობა 25%-ზე მეტია).

მათემატიკა ● მე-8 კლასი

IEA TIMSS 2023

***ილუსტრაცია 2**. მიღწევის საშუალო ქულის მიხედვით შედგენილი ქვეყნების რეიტინგული სია (მე-8 კლასი)*

| ქვეყანა | მათემატიკის საშუალო სკალური ქულა | 95% ნდობის ინტერვალი | სტანდ. გადახრა |
|---|---|---|---|
| [3] სინგაპური | 605 (6.1) | 593 - 617 | 97 (3.5) |
| ჩინური ტაიბეი | 602 (3.1) | 596 - 608 | 98 (1.9) |
| კორეის რესპუბლიკა | 596 (3.0) | 590 - 602 | 98 (1.5) |
| † იაპონია | 595 (3.0) | 589 - 601 | 84 (1.5) |
| † ჰონკონგი | 575 (5.0) | 565 - 585 | 98 (4.3) |
| [2] ინგლისი | 525 (4.5) | 516 - 534 | 97 (2.7) |
| ირლანდია | 522 (2.7) | 516 - 527 | 79 (1.7) |
| [2] ჩეხეთის რესპუბლიკა | 518 (2.3) | 514 - 523 | 84 (1.4) |
| [2] შვედეთი | 517 (2.4) | 513 - 522 | 82 (1.4) |
| [2] ლიეტუვა | 514 (3.1) | 507 - 520 | 92 (1.9) |
| [2] ავსტრია | 512 (2.3) | 508 - 517 | 74 (1.6) |
| ავსტრალია | 509 (3.5) | 502 - 516 | 93 (2.3) |
| [3] † თურქეთი | 509 (4.3) | 500 - 517 | 114 (2.3) |
| უნგრეთი | 506 (3.7) | 499 - 513 | 91 (2.7) |
| ფინეთი | 504 (2.6) | 499 - 509 | 82 (1.4) |
| [2] ნორვეგია | 501 (2.3) | 496 - 505 | 82 (0.9) |
| იტალია | 501 (3.0) | 495 - 506 | 85 (1.4) |
| მალტა | 499 (1.2) | 497 - 502 | 90 (1.2) |
| ≡ რუმინეთი | 496 (4.9) | 486 - 505 | 100 (2.8) |
| კვიპროსი | 494 (2.7) | 489 - 499 | 93 (2.1) |
| არაბეთის გაერთიანებული საემიროები | 489 (1.7) | 485 - 492 | 104 (1.4) |
| ≡ აშშ | 488 (4.2) | 480 - 496 | 94 (1.9) |
| [3] ისრაელი | 487 (3.9) | 480 - 495 | 100 (2.9) |
| საფრანგეთი | 479 (3.1) | 473 - 485 | 81 (1.8) |
| აზერბაიჯანი | 479 (3.7) | 471 - 486 | 102 (2.8) |
| პორტუგალია | 475 (2.7) | 470 - 481 | 83 (1.3) |
| [1] **საქართველო** | **467 (3.2)** | **460 - 473** | **92 (2.1)** |
| ყაზახეთი | 454 (3.5) | 447 - 461 | 92 (2.9) |
| ყატარი | 451 (4.2) | 443 - 460 | 100 (2.8) |
| ბაჰრეინი | 426 (2.4) | 422 - 431 | 99 (1.7) |
| Ψ ირანის ისლამური რესპუბლიკა | 423 (3.6) | 416 - 430 | 90 (2.6) |
| უზბეკეთი | 421 (4.3) | 412 - 429 | 88 (2.7) |
| † ჩილე | 416 (3.2) | 410 - 422 | 84 (2.1) |
| ომანი | 411 (2.7) | 406 - 416 | 91 (1.3) |
| მალაიზია | 411 (3.5) | 404 - 418 | 88 (1.8) |
| Ψ ქუვეითი | 399 (5.2) | 388 - 409 | 95 (3.4) |
| [2] საუდის არაბეთი | 397 (3.3) | 390 - 403 | 83 (1.5) |
| Ψ სამხრეთ აფრიკა | 397 (3.1) | 390 - 403 | 78 (2.4) |
| იორდანია | 388 (3.2) | 382 - 395 | 87 (1.7) |
| Ψ პალესტინა | 382 (3.0) | 376 - 387 | 89 (1.4) |
| Ψ ბრაზილია | 378 (2.8) | 373 - 383 | 89 (2.7) |
| მაროკო | 378 (3.0) | 372 - 384 | 75 (1.5) |
| საერთაშორისო საშუალო | 478 (0.5) | 477 - 479 | |
| ≡ ახალი ზელანდია | 485 (4.1) | 478 - 493 | 96 (2.3) |
| Ж კოტ დ'ივუარის რესპუბლიკა | 263 (4.9) | 253 - 273 | 75 (4.7) |
| **მონაწილე რეგიონები** | | | |
| დუბაი, გაერთიანებული საემიროები | 546 (2.8) | 540 - 551 | 98 (2.1) |
| შარჯა, გაერთიანებული საემიროები | 496 (4.8) | 486 - 505 | 92 (3.2) |
| აბუ დაბი, გაერთიანებული საემიროები | 454 (2.8) | 448 - 459 | 100 (1.7) |

**მათემატიკაში მიღწევების განაწილება**




() ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული შეცდომა.
ქვეყნების მარცხნივ მითითებული აღნიშვნები:
რიცხვები 1, 2 და 3 შეესაბამება პოპულაციის დაფარვასთან დაკავშირებულ კომენტარებს (1 - სამიზნე პოპულაცია არ არის სრულად დაფარული. მაგ., საქართველოს შემთხვევაში კვლევაში მონაწილეობდნენ მხოლოდ ის მოსწავლეები, რომელთა სწავლების ენა ქართულია; 2 - ქვეყნის მასშტაბით კვლევისთვის შერჩეული პოპულაცია შეადგენს კვლევის სამიზნე პოპულაციის 90%-დან 95%-მდე; 3 - ქვეყნის მასშტაბით კვლევისთვის შერჩეული პოპულაცია შეადგენს კვლევის სამიზნე პოპულაციის 77%-დან 90%-მდე);
აღნიშვნები †, ‡, ≡ ეხება შერჩეული სკოლებისა და მოსწავლეების კვლევაში მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. TIMSS-ის სტანდარტების მიხედვით, შერჩეული სკოლებისა და მოსწავლეების მინიმუმ 85%-მა უნდა მიიღოს მონაწილეობა კვლევაში († - ქვეყანამ დააკმაყოფილა ეს სტანდარტი სათადარიგო სკოლების დამატებით; ‡ - ქვეყანამ თითქმის დააკმაყოფილა ეს სტანდარტი სათადარიგო სკოლების დამატებით; ≡ - ქვეყანამ ვერ დააკმაყოფილა ეს სტანდარტი);
აღნიშვნები Ψ და Ж მითითებულია იმ ქვეყნების გასწვრივ, სადაც დგას შედეგების სანდოობის საკითხი - ამ ქვეყნებში ძალიან მაღალია იმ მოსწავლეების რაოდენობა, რომელთა მიღწევა იმდენად დაბალია, რომ ვერ ხერხდება მათი შეფასება (Ψ - ასეთი მოსწავლეების რაოდენობა 15%-დან 25%-მდეა; Ж - ასეთი მოსწავლეების რაოდენობა 25%-ზე მეტია).

## მიღწევის საერთაშორისო საფეხურები

მოსწავლეთა მიღწევები TIMSS-ის ტესტში სხვადასხვა მაჩვენებლით გამოისახება. ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ინდიკატორი არის მოსწავლეთა მიღწევების განაწილება მიღწევის საფეხურების (დონეების) მიხედვით. TIMSS-ის სკალა დაყოფილია მიღწევის ოთხ საფეხურად: უმაღლესი საფეხური, მაღალი საფეხური, საშუალო საფეხური და დაბალი საფეხური:

- უმაღლესი საფეხური: 625 ქულა და მეტი;
- მაღალი საფეხური: 550-დან 625 ქულამდე;
- საშუალო საფეხური: 475-დან 550 ქულამდე;
- დაბალი საფეხური: 400-დან 475 ქულამდე.

TIMSS-ის მიერ გამოყენებული მიღწევის ოთხსაფეხურიანი სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების უფრო ღრმა და დეტალურ ანალიზს, რაც განათლების სისტემის გაუმჯობესებისთვის ღირებულ ინსტრუმენტს წარმოადგენს. მოსწავლეთა აკადემიური შედეგების შეფასებისას საშუალო ქულა მხოლოდ ზოგადი წარმოდგენის მიღების საშუალებას გვაძლევს; **მიღწევის საფეხურების სისტემა მნიშვნელოვნად აფართოებს ანალიზის შესაძლებლობებს**. ოთხსაფეხურიანი სტრუქტურა (დაბალი, საშუალო, მაღალი და უმაღლესი საფეხური) ასახავს არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევის რაოდენობრივ მაჩვენებელს, არამედ თვისებრივ სურათსაც – მაგალითად, როგორია ქვეყანაში ისეთი მოსწავლეების წილი, რომლებიც ფლობენ ღრმა, სისტემურ ცოდნასა და შეუძლიათ რთულ ამოცანებთან გამკლავება (უმაღლესი საფეხური) ან როგორია ქვეყანაში ისეთი მოსწავლეების წილი, რომლებიც ვერ წყვეტენ დაბალი საფეხურისთვის განკუთვნილ დავალებებსაც კი; შესაბამისად, საფეხურების გამოყენებით შესაძლებელი ხდება სხვადასხვა ჯგუფში მოსწავლეთა ცოდნის დონეთა დიფერენცირებული ანალიზი, შესაბამისად, საგანმანათლებლო პოლიტიკის დაგეგმვა, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ საშუალო შედეგების გაუმჯობესებას, არამედ მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფზე მიზანმიმართულ ზემოქმედებას, რაც უზრუნველყოფს პოლიტიკისა თუ სასწავლო პროცესის დაგეგმვაში უფრო პრაქტიკული მხარდაჭერის გაწევას.

*როგორია საქართველოს მოსწავლეთა განაწილება მათემატიკაში მიღწევის საფეხურების მიხედვით და რა ტენდენციები იკვეთება ამ თვალსაზრისით TIMSS 2007-2023-ის წლის მონაცემებში?*

ქვემოთ მოცემული ილუსტრაციები ასახავს მოსწავლეთა განაწილებას მიღწევის საფეხურების მიხედვით. ანალიზისთვის გამოყენებულია კუმულაციური (ანუ დაჯამებული) პროცენტები. რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლე, რომლის მიღწევაც, მაგალითად, მაღალ საფეხურს შეესაბამება, წარმატებით ართმევს თავს მაღალი, საშუალო და დაბალი საფეხურების შესაბამის დავალებებს; ამის საპირისპიროდ, მოსწავლე, რომელიც **დაბალ საფეხურზეა**, ასრულებს მხოლოდ **დაბალი** საფეხურისთვის განკუთვნილ დავალებებს. საფეხურების მიხედვით მოსწავლეთა დაჯგუფების შედეგად, შესაძლოა გამოიყოს მოსწავლეთა განსაკუთრებით ყურადსაღები, კრიტიკული ნაწილი, რომელთაც მინიმალური კომპეტენციების არქონის გამო, დაბალის საფეხურისთვის განკუთვნილი დავალებების გადაჭრაც უჭირთ.

კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ:

***დაწყებითი საფეხური***

- ქართველი მეოთხეკლასელების 4%-მა დაძლია უმაღლესი საფეხური, 26%-მა – მაღალი საფეხური, 63%-მა – საშუალო და 88%-მა – დაბალი საფეხური;
- შესაბამისად, საქართველოში მე-4 კლასის მოსწავლეთა 12% ვერ უმკლავდება დაბალი საფეხურისთვის განკუთვნილ დავალებებსაც კი.

***საბაზო საფეხური***

- მე-8 კლასის შემთხვევაში ეს მონაცემები ასე გამოიყურება: 4%-მა დაძლია უმაღლესი საფეხური, 19%-მა – მაღალი საფეხური, 47%-მა – საშუალო და 75%-მა – დაბალი საფეხური
- დაბალი საფეხურისთვის განკუთვნილ დავალებებსაც ვერ ძლევს მოსწავლეთა 25%.

თუ შედეგებს საერთაშორისო ტენდენციებს შევადარებთ (იხ. თანდართული ილუსტრაციები 3 და 4, სადაც წარმოდგენილია საერთაშორისო მედიანის მაჩვენებლები), ვნახავთ, რომ საქართველოში მაღალი აკადემიური მიღწევის მქონე მოსწავლეთა წილი შედარებით დაბალია, მაშინ, როცა იმ მოსწავლეთა წილი, ვინც ელემენტარულ ცოდნასაც კი ვერ ავლენს, საერთაშორისო მონაცემებთან შედარებით, საგრძნობლად მეტია. უმაღლეს და მაღალ საფეხურებზე მოსწავლეთა წილი ორივე კლასში დაბალია, ანუ მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს გამორჩეული აკადემიური წარმატება. მონაცემები ცხადყოფს, რომ როგორც მეოთხე, ასევე მერვე კლასის მოსწავლეთა უმეტესობა საშუალო ან დაბალი საფეხურის ფარგლებში რჩება; განსაკუთრებით საგანგაშოა ის ფაქტი, რომ მეოთხე კლასში ყოველი მეათე და მეტი (12%) მოსწავლე, მერვე კლასში კი ყოველი მეოთხე მოსწავლე (25%) ვერ ასრულებს დაბალი საფეხურისთვის განკუთვნილ დავალებებს; აქ, ასევე, ცხადად იკვეთება დაწყებითი საფეხურიდან საბაზო საფეხურამდე **აკადემიური ჩამორჩენის ზრდის ტენდენცია** - მეოთხე კლასიდან მერვე კლასამდე მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც ვერ ასრულებენ ელემენტარულ დავალებებს, თითქმის ორჯერ იზრდება; მე-8 კლასში დაბალი საფეხურის ქვემოთ მყოფ მოსწავლეთა უფრო მაღალი წილი მიუთითებს საბაზო საფეხურზე აკადემიური სირთულეების დროული იდენტიფიცირებისა და მიზნობრივი მხარდაჭერის გაძლიერების საჭიროებაზე. ცხადია, თუ ადრეულ ეტაპზე მოსწავლეებს სათანადო მხარდაჭერა არ გაეწიათ, მათი პროგრესი მნიშვნელოვნად ფერხდება.

მათემატიკა • მე-4 კლასი

IEA TIMSS 2023

***ილუსტრაცია 3.*** *მოსწავლეთა მიღწევების საერთაშორისო საფეხურები (მე-4 კლასი)*

მოსწავლეების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც მიაღწიეს დადგენილ საერთაშორისო საფეხურებს (● უმაღლესი ● მაღალი ● საშუალო ○ დაბალი)



| | ქვეყანა | უმაღლესი საფეხური (625) | მაღალი საფეხური (550) | საშუალო საფეხური (475) | დაბალი საფეხური (400) |
|---|---|---|---|---|---|
| 3 | სინგაპური | 49 (1.4) | 79 (1.2) | 93 (0.7) | 98 (0.3) |
| | ჩინური ტაიბეი | 40 (1.2) | 81 (0.9) | 97 (0.3) | 100 (0.1) |
| † | ჰონკონგი | 38 (2.3) | 74 (1.7) | 91 (0.9) | 98 (0.4) |
| | კორეის რესპუბლიკა | 36 (1.3) | 75 (1.1) | 93 (0.8) | 99 (0.4) |
| | იაპონია | 32 (1.4) | 73 (1.3) | 95 (0.6) | 99 (0.2) |
| | მაკაო | 30 (0.7) | 68 (0.6) | 90 (0.4) | 98 (0.2) |
| 3 | თურქეთი | 24 (1.4) | 54 (1.9) | 79 (1.5) | 93 (0.8) |
| 2 | ინგლისი | 22 (1.0) | 53 (1.2) | 80 (1.0) | 94 (0.7) |
| 2 | ლიეტუვა | 20 (1.2) | 58 (1.5) | 87 (1.2) | 97 (0.4) |
| | ირლანდია | 16 (1.0) | 52 (1.7) | 81 (1.2) | 95 (0.7) |
| 2 ≡ | რუმინეთი | 16 (1.6) | 50 (2.5) | 78 (2.1) | 94 (1.1) |
| 2 | პოლონეთი | 14 (0.9) | 51 (1.3) | 83 (0.8) | 96 (0.5) |
| | ბულგარეთი | 14 (0.9) | 45 (1.3) | 74 (1.7) | 91 (1.3) |
| | ავსტრალია | 13 (0.8) | 41 (1.3) | 72 (1.1) | 91 (0.8) |
| 2 † | აშშ | 13 (0.9) | 39 (1.4) | 68 (1.2) | 87 (0.8) |
| | ლატვია | 12 (0.8) | 44 (1.6) | 78 (1.4) | 95 (0.6) |
| | უნგრეთი | 11 (0.8) | 41 (1.5) | 71 (1.5) | 89 (1.3) |
| | არაბეთის გაერთ. საემიროები | 11 (0.4) | 34 (0.5) | 60 (0.5) | 80 (0.5) |
| | ფინეთი | 11 (0.8) | 42 (1.3) | 76 (1.1) | 94 (0.7) |
| 2 | შვედეთი | 10 (0.8) | 41 (1.5) | 77 (1.6) | 95 (0.8) |
| 2 | ნორვეგია | 10 (0.7) | 41 (1.1) | 77 (1.1) | 95 (0.5) |
| 2 | ჩეხეთის რესპუბლიკა | 9 (0.7) | 41 (1.3) | 78 (0.9) | 95 (0.4) |
| | პორტუგალია | 9 (0.7) | 36 (1.3) | 70 (1.4) | 91 (0.8) |
| 2 | სერბეთი | 9 (0.8) | 39 (1.7) | 74 (1.7) | 93 (0.9) |
| | გერმანია | 8 (0.6) | 38 (1.2) | 75 (1.2) | 94 (0.6) |
| 2 | კვიპროსი | 8 (0.6) | 36 (1.1) | 71 (1.2) | 91 (0.7) |
| † | ნიდერლანდები | 8 (0.7) | 44 (1.3) | 83 (1.1) | 98 (0.4) |
| 2 ≡ | ალბანეთი | 8 (1.2) | 32 (2.3) | 68 (2.4) | 91 (1.6) |
| † | დანია | 7 (0.6) | 37 (1.2) | 76 (1.0) | 95 (0.5) |
| 2 | იტალია | 7 (0.7) | 34 (1.3) | 69 (1.5) | 91 (0.8) |
| 2 † | ბელგია (ფლამანდრიული) | 7 (0.6) | 36 (1.3) | 73 (1.4) | 95 (0.7) |
| 2 † | ახალი ზელანდია | 7 (0.4) | 27 (1.2) | 57 (1.3) | 83 (0.9) |
| | სლოვაკეთის რესპუბლიკა | 6 (0.6) | 36 (1.4) | 73 (1.5) | 91 (1.0) |
| 1 3 | კანადა | 6 (0.5) | 29 (0.9) | 65 (1.0) | 90 (0.6) |
| | აზერბაიჯანი | 6 (0.6) | 29 (1.4) | 61 (1.5) | 84 (1.1) |
| | სლოვენია | 5 (0.6) | 33 (0.9) | 71 (1.0) | 93 (0.5) |
| 2 | ყაზახეთი | 5 (0.7) | 24 (1.6) | 56 (1.5) | 84 (1.2) |
| | ბაჰრეინი | 5 (0.8) | 19 (1.5) | 45 (1.7) | 73 (1.5) |
| 1 | **საქართველო** | **4 (0.7)** | **26 (1.4)** | **63 (1.7)** | **88 (0.9)** |
| | ყატარი | 4 (0.5) | 19 (1.2) | 46 (1.6) | 74 (1.5) |
| 2 | ესპანეთი | 4 (0.4) | 25 (1.0) | 62 (1.2) | 90 (0.8) |
| 2 | სომხეთი | 4 (0.5) | 31 (1.6) | 72 (1.7) | 93 (0.8) |
| 2 | ბელგია (ფრანგული) | 3 (0.3) | 22 (1.0) | 58 (1.4) | 88 (1.0) |
| | ჩრდილოეთ მაკედონია | 3 (0.4) | 20 (1.3) | 51 (1.7) | 79 (1.5) |
| 2 | საფრანგეთი | 3 (0.5) | 20 (1.3) | 56 (1.5) | 85 (1.2) |
| | ომანი | 2 (0.6) | 10 (1.1) | 29 (1.5) | 57 (1.5) |
| | იორდანია | 2 (0.7) | 12 (1.6) | 32 (2.2) | 60 (2.1) |
| 2 | მონტენეგრო | 2 (0.3) | 17 (0.8) | 53 (1.2) | 84 (1.0) |
| | სამხრეთ აფრიკა | 2 (0.3) | 6 (0.8) | 17 (1.1) | 35 (1.2) |
| | მაროკო | 1 (0.4) | 7 (1.0) | 22 (1.6) | 46 (1.9) |
| 2 | კოსოვო | 1 (0.4) | 11 (0.9) | 39 (1.6) | 73 (1.6) |
| | უზბეკეთი | 1 (0.3) | 10 (1.0) | 35 (1.6) | 69 (1.5) |
| 3 | საუდის არაბეთი | 1 (0.3) | 8 (0.8) | 29 (1.7) | 57 (1.7) |
| | ქუვეითი | 1 (0.3) | 7 (0.9) | 22 (1.4) | 45 (1.6) |
| Ψ | ირანის ისლამური რესპუბლიკა | 1 (0.2) | 8 (0.7) | 31 (1.5) | 59 (1.8) |
| 2 † | ჩილე | 1 (0.2) | 9 (0.6) | 36 (1.5) | 71 (1.6) |
| 2 Ψ | ბრაზილია | 1 (0.4) | 5 (0.9) | 21 (1.5) | 49 (1.4) |
| 1 | ბოსნია და ჰერცეგოვინა | 1 (0.2) | 8 (0.9) | 38 (1.9) | 74 (1.6) |
| | **საერთაშორისო მედიანა** | **7** | **35** | **70** | **91** |

**მონაწილე რეგიონები**



| | რეგიონი | უმაღლესი საფეხური (625) | მაღალი საფეხური (550) | საშუალო საფეხური (475) | დაბალი საფეხური (400) |
|---|---|---|---|---|---|
| | დუბაი, გაერთ. საემიროები | 22 (0.8) | 56 (0.8) | 82 (0.6) | 94 (0.4) |
| | შარჯა, გაერთ. საემიროები | 9 (1.0) | 33 (1.5) | 64 (1.6) | 85 (1.0) |
| 3 | ონტარიო, კანადა | 6 (0.8) | 29 (1.6) | 64 (1.6) | 89 (1.0) |
| 2 | კვებეკი, კანადა | 6 (0.7) | 33 (1.5) | 71 (1.5) | 94 (0.7) |
| | აბუ დაბი, გაერთ. საემიროები | 6 (0.4) | 22 (0.7) | 45 (0.9) | 68 (0.8) |

() ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული შეცდომა.

ქვეყნების მარცხნივ მითითებული აღნიშვნები:

რიცხვები 1, 2 და 3 შეესაბამება პოპულაციის დაფარვასთან დაკავშირებულ კომენტარებს (1 - სამიზნე პოპულაცია არ არის სრულად დაფარული. მაგ., საქართველოს შემთხვევაში კვლევაში მონაწილეობდნენ მხოლოდ ის მოსწავლეები, რომელთა სწავლების ენა ქართულია; 2 - ქვეყნის მასშტაბით კვლევისთვის შერჩეული პოპულაცია შეადგენს კვლევის სამიზნე პოპულაციის 90%-დან 95%-მდე; 3 - ქვეყნის მასშტაბით კვლევისთვის შერჩეული პოპულაცია შეადგენს კვლევის სამიზნე პოპულაციის 77%-დან 90%-მდე);

აღნიშვნები †, ‡, ≡ ეხება შერჩეული სკოლებისა და მოსწავლეების კვლევაში მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. TIMSS-ის სტანდარტების მიხედვით, შერჩეული სკოლებისა და მოსწავლეების მინიმუმ 85%-მა უნდა მიიღოს მონაწილეობა კვლევაში († - ქვეყანამ დააკმაყოფილა ეს სტანდარტი სათადარიგო სკოლების დამატებით; ‡ - ქვეყანამ თითქმის დააკმაყოფილა ეს სტანდარტი სათადარიგო სკოლების დამატებით; ≡ - ქვეყანამ ვერ დააკმაყოფილა ეს სტანდარტი);

აღნიშვნები Ψ და Ж მითითებულია იმ ქვეყნების გასწვრივ, სადაც დგას შედეგების სანდოობის საკითხი - ამ ქვეყნებში ძალიან მაღალია იმ მოსწავლეების რაოდენობა, რომელთა მიღწევა იმდენად დაბალია, რომ ვერ ხერხდება მათი შეფასება (Ψ - ასეთი მოსწავლეების რაოდენობა 15%-დან 25%-მდეა; Ж - ასეთი მოსწავლეების რაოდენობა 25%-ზე მეტია).

***ილუსტრაცია 4****. მოსწავლეთა მიღწევების საერთაშორისო საფეხურები (მე-8 კლასი)*




| ქვეყანა | უმაღლესი საფეხური (625) | მაღალი საფეხური (550) | საშუალო საფეხური (475) | დაბალი საფეხური (400) |
|---|---|---|---|---|
| [3] სინგაპური | 46 (2.5) | 74 (2.4) | 89 (1.6) | 97 (0.7) |
| ჩინური ტაიბეი | 44 (1.7) | 72 (1.1) | 89 (0.7) | 97 (0.3) |
| კორეის რესპუბლიკა | 40 (1.4) | 70 (1.1) | 88 (0.7) | 97 (0.4) |
| † იაპონია | 37 (1.8) | 71 (1.3) | 92 (0.5) | 99 (0.2) |
| † ჰონკონგი | 32 (2.2) | 65 (1.8) | 85 (1.5) | 95 (0.9) |
| [3] † თურქეთი | 17 (1.3) | 37 (1.7) | 59 (1.6) | 81 (1.2) |
| [2] ინგლისი | 15 (1.5) | 42 (2.2) | 71 (1.8) | 89 (1.3) |
| [2] ლიეტუვა | 11 (0.9) | 36 (1.4) | 66 (1.4) | 88 (0.9) |
| ავსტრალია | 11 (0.9) | 34 (1.4) | 64 (1.5) | 87 (1.2) |
| [2] ჩეხეთის რესპუბლიკა | 10 (0.6) | 35 (0.9) | 70 (1.3) | 92 (0.7) |
| არაბეთის გაერთ. საემიროები | 10 (0.5) | 29 (0.7) | 55 (0.8) | 79 (0.7) |
| [2] შვედეთი | 9 (0.8) | 36 (1.4) | 69 (1.3) | 91 (0.7) |
| ირლანდია | 9 (0.6) | 38 (1.3) | 73 (1.5) | 93 (0.7) |
| ≡ რუმინეთი | 9 (1.0) | 31 (1.8) | 60 (2.0) | 83 (1.6) |
| უნგრეთი | 9 (1.0) | 34 (1.5) | 65 (1.6) | 87 (1.3) |
| [3] ისრაელი | 8 (1.2) | 28 (1.7) | 55 (1.6) | 80 (1.1) |
| ≡ აშშ | 8 (0.8) | 26 (1.6) | 55 (1.9) | 82 (1.5) |
| მალტა | 7 (0.5) | 30 (0.8) | 63 (0.7) | 85 (0.5) |
| კვიპროსი | 7 (1.0) | 29 (1.4) | 59 (1.1) | 83 (0.7) |
| იტალია | 7 (0.6) | 30 (1.3) | 61 (1.5) | 88 (1.1) |
| ფინეთი | 7 (0.6) | 29 (1.2) | 64 (1.3) | 90 (0.8) |
| აზერბაიჯანი | 7 (0.7) | 26 (1.3) | 53 (1.6) | 77 (1.4) |
| [2] ნორვეგია | 6 (0.5) | 29 (1.1) | 63 (1.2) | 88 (0.7) |
| [2] ავსტრია | 5 (0.6) | 32 (1.2) | 71 (1.4) | 93 (0.9) |
| ყატარი | 5 (0.9) | 17 (1.4) | 40 (1.9) | 68 (1.8) |
| [1] **საქართველო** | **4 (0.5)** | **19 (1.2)** | **47 (1.7)** | **75 (1.4)** |
| ყაზახეთი | 4 (0.7) | 16 (1.1) | 39 (1.5) | 71 (1.5) |
| პორტუგალია | 4 (0.4) | 20 (1.0) | 49 (1.3) | 81 (1.2) |
| ბაჰრეინი | 3 (0.4) | 11 (0.7) | 30 (0.9) | 58 (1.1) |
| საფრანგეთი | 3 (0.4) | 20 (1.1) | 53 (1.7) | 83 (1.3) |
| უზბეკეთი | 2 (0.6) | 8 (1.3) | 26 (1.8) | 57 (1.8) |
| Ψ ირანის ისლამური რესპუბლიკა | 1 (0.4) | 8 (0.9) | 29 (1.5) | 59 (1.6) |
| მალაიზია | 1 (0.3) | 7 (0.7) | 22 (1.3) | 52 (1.8) |
| Ψ ქუვეითი | 1 (0.5) | 7 (1.3) | 21 (1.9) | 46 (2.1) |
| ომანი | 1 (0.2) | 7 (0.6) | 24 (1.0) | 53 (1.3) |
| Ψ ბრაზილია | 1 (0.4) | 4 (0.8) | 14 (1.0) | 38 (1.2) |
| † ჩილე | 1 (0.2) | 6 (0.6) | 24 (1.2) | 57 (1.7) |
| Ψ სამხრეთ აფრიკა | 1 (0.2) | 4 (0.8) | 15 (1.3) | 45 (1.6) |
| [2] საუდის არაბეთი | 0 (0.1) | 4 (0.5) | 18 (1.2) | 46 (1.7) |
| Ψ პალესტინა | 0 (0.1) | 3 (0.4) | 16 (0.9) | 41 (1.3) |
| იორდანია | 0 (0.1) | 3 (0.5) | 16 (1.2) | 45 (1.6) |
| მაროკო | 0 (0.1) | 2 (0.3) | 11 (0.9) | 36 (1.7) |
| **საერთაშორისო მედიანა** | **7** | **28** | **55** | **81** |
| ≡ ახალი ზელანდია | 8 (1.0) | 26 (2.0) | 54 (1.8) | 80 (1.2) |
| Ж კოტ დ'ივუარის რესპუბლიკა | 0 (0.0) | 0 (0.0) | 1 (0.6) | 5 (1.8) |
| **მონაწილე რეგიონები** | | | | |
| დუბაი, გაერთ. საემიროები | 21 (1.1) | 51 (1.2) | 78 (1.1) | 92 (0.8) |
| შარჯა, გაერთ. საემიროები | 8 (1.6) | 28 (2.2) | 58 (1.9) | 84 (1.3) |
| აბუ დაბი, გაერთ. საემიროები | 5 (0.4) | 18 (0.8) | 42 (1.3) | 68 (1.4) |

() ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული შეცდომა.

ქვეყნების მარცხნივ მითითებული აღნიშვნები:

რიცხვები 1, 2 და 3 შეესაბამება პოპულაციის დაფარვასთან დაკავშირებულ კომენტარებს (1 - სამიზნე პოპულაცია არ არის სრულად დაფარული. მაგ., საქართველოს შემთხვევაში კვლევაში მონაწილეობდნენ მხოლოდ ის მოსწავლეები, რომელთა სწავლების ენა ქართულია; 2 - ქვეყნის მასშტაბით კვლევისთვის შერჩეული პოპულაცია შეადგენს კვლევის სამიზნე პოპულაციის 90%-დან 95%-მდე; 3 - ქვეყნის მასშტაბით კვლევისთვის შერჩეული პოპულაცია შეადგენს კვლევის სამიზნე პოპულაციის 77%-დან 90%-მდე);

აღნიშვნები †, ‡, ≡ ეხება შერჩეული სკოლებისა და მოსწავლეების კვლევაში მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. TIMSS-ის სტანდარტების მიხედვით, შერჩეული სკოლებისა და მოსწავლეების მინიმუმ 85%-მა უნდა მიიღოს მონაწილეობა კვლევაში († - ქვეყანამ დააკმაყოფილა ეს სტანდარტი სათადარიგო სკოლების დამატებით; ‡ - ქვეყანამ თითქმის დააკმაყოფილა ეს სტანდარტი სათადარიგო სკოლების დამატებით; ≡ - ქვეყანამ ვერ დააკმაყოფილა ეს სტანდარტი);

აღნიშვნები Ψ და Ж მითითებულია იმ ქვეყნების გასწვრივ, სადაც დგას შედეგების სანდოობის საკითხი - ამ ქვეყნებში ძალიან მაღალია იმ მოსწავლეების რაოდენობა, რომელთა მიღწევა იმდენად დაბალია, რომ ვერ ხერხდება მათი შეფასება (Ψ - ასეთი მოსწავლეების რაოდენობა 15%-დან 25%-მდეა; Ж - ასეთი მოსწავლეების რაოდენობა 25%-ზე მეტია).

მეოთხე და მერვე კლასის მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი მოწმობს მათემატიკის სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ ხარვეზებზე, რაც ხელს უშლის ყველა მოსწავლის სრულფასოვან განვითარებასა და აკადემიურ წარმატებას. მათი გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებისთვის კონტექსტუალური, გარემო ფაქტორების შესახებ შეგროვებულ ინფორმაციას ვიყენებთ, რომელიც TIMSS-ის ეროვნული ანგარიშის სხვა სერიებშია წარმოდგენილი. აქ აღვნიშნავთ, რომ ჩამორჩენის ადრეულ ეტაპზე აღმოჩენა და მიზანმიმართული ინტერვენცია კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რათა თავიდან ავიცილოთ უფრო ფართომასშტაბიანი პრობლემები. ეს შედეგები ცხადყოფს, რომ უმნიშვნელოვანესია ინკლუზიური მიდგომების გაძლიერება და მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, რათა ყველა მოსწავლეს მიეცეს შესაძლებლობა, მიიღოს ხარისხიანი განათლება და მაქსიმალურად გამოიყენოს საკუთარი პოტენციალი.

## მიღწევების ტრაექტორია: როგორ შეიცვალა ქართველი მოსწავლეების შედეგები მათემატიკაში 2007-2023 წლებში

TIMSS-ი უზრუნველყოფს სხვადასხვა ქვეყნის განათლების სისტემების გრძელვადიან მონიტორინგს და შესაძლებლობას გვაძლევს, დროის ხანგრძლივ პერიოდში დავაკვირდეთ მოსწავლეთა მიღწევების დინამიკას. საქართველომ TIMSS-ში მონაწილეობა პირველად 2007 წელს მიიღო, შესაბამისად, კვლევის ხუთ ციკლში მონაწილეობდა (2007, 2011, 2015, 2019, 2023 წლები), რაც გვაძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, შევაფასოთ მოსწავლეთა პროგრესი და განათლების სისტემაში არსებული ტენდენციები დროის სხვადასხვა მონაკვეთში.

*როგორ შეიცვალა ქართველი მოსწავლეების მიღწევები მათემატიკაში 2007-დან 2023 წლამდე?*

მიღწევის ცვლილების გრძელვადიან ტრენდზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ, რამდენად ეფექტიანია ქვეყანაში განხორციელებული საგანმანათლებლო რეფორმები და პოლიტიკა, როგორ იცვლება მოსწავლეთა მომზადების დონე და რა მიმართულებით უნდა გაგრძელდეს განათლების სისტემის განვითარება. TIMSS-ის შედეგები მნიშვნელოვანია საერთაშორისო კონტექსტში ქვეყნის პოზიციონირებისთვისაც.

ბოლო 16 წლის განმავლობაში პროგრესი შეინიშნება როგორც მეოთხე, ასევე მერვე კლასის მოსწავლეების მიღწევებში. როგორც თანდართული ილუსტრაციიდან ჩანს, 2023 წელს ქართველმა მეოთხეკლასელებმა 2007 წელთან შედარებით 60 ქულით გააუმჯობესეს შედეგი მათემატიკაში. აღსანიშნავია, რომ მეოთხეკლასელთა საშუალო მაჩვენებლის გაუმჯობესება ყველა ციკლში ***სტატისტიკურად არსებითია.*** მე-8 კლასის მოსწავლეებმა 2007 წლის შემდეგ 57 ქულით გააუმჯობესეს საშუალო მიღწევა. მერვეკლასელებს საშუალო მაჩვენებლის სტატისტიკურად არსებითი გაუმჯობესება ჰქონდათ 2011 და 2015 წლებში, 2015 წლიდან შედეგების გაუმჯობესების ტემპი დაბალია და სხვაობაც წინა ციკლის შედეგებთან შედარებით სტატისტიკურად არარსებითია. ამის ფონზე მეოთხეკლასელთა შედეგები 2007 წლის შემდეგ სტაბილურად უმჯობესდება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ TIMSS-ის პირველსავე კვლევაში მეოთხეკლასებს მოკრძალებული, თუმცა, მერვეკლასელებზე უკეთესი შედეგი ჰქონდათ. კვლევის ყველა ციკლში თვალსაჩინოა სხვაობა მეოთხე და მერვეკლასელების მიღწევებს შორის – მეოთხეკლასელები არამხოლოდ

უკეთეს შედეგებს აჩვენებენ, ვიდრე მერვეკლასელები, არამედ, შედეგების გაუმჯობესების დინამიკაც 2015-2023 წლებში, მათთან უფრო გამოკვეთილია, ვიდრე მერვეკლასელებთან.

***ილუსტრაცია 5***. *მათემატიკაში ქართველი მოსწავლეების მიღწევების დინამიკა*




ქვემოთ მოცემულ ილუსტრაციაში წარმოდგენილია მათემატიკაში ქართველი მე-4 და მე-8 კლასის მოსწავლეების კუმულაციური პროცენტული რაოდენობა, რომელთაც კვლევის თითოეულ ციკლში დაძლიეს მიღწევის დაბალი, საშუალო, მაღალი ან უმაღლესი საფეხური.

***ილუსტრაცია 6.*** *მოსწავლეების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც დაძლიეს მიღწევის თითოეული საფეხური (2007-2023 წლები)*



| ბრაზილია | 420 (2.5) | 428 (2.9) | 8 (1.1) ▲ | 414 (2.4) | -5 (0.7) ▼ | 405 (2.9) | -15 (1.4) ▼ | 421 (3.0) | 1 (1.3) |
| ქუვეითი | 420 (5.8) | 414 (5.7) | -6 (2.5) | 417 (6.5) | -3 (2.7) | 423 (5.4) | 3 (2.5) | 420 (5.8) | 0 (2.8) |
| [2] საუდის არაბეთი | 419 (3.4) | 416 (3.8) | -3 (0.9) ▼ | 423 (3.4) | 4 (1.3) ▲ | 415 (3.2) | -4 (1.8) | 419 (3.0) | 0 (1.9) |
| ირანის ისლამური რესპუბლიკა | 419 (3.6) | 421 (3.4) | 2 (1.5) | 418 (3.9) | -1 (1.8) | 408 (3.2) | -11 (1.6) ▼ | 411 (4.2) | -8 (2.7) ▼ |
| იორდანია | 413 (3.6) | 411 (3.4) | -2 (1.5) | 414 (4.1) | 1 (1.5) | 415 (3.1) | 2 (1.5) | 406 (3.4) | -7 (2.1) ▼ |
| აზერბაიჯანი | 411 (3.0) | 419 (2.8) | 8 (1.7) ▲ | 413 (3.2) | 2 (1.5) | 400 (3.7) | -11 (1.9) ▼ | 398 (3.1) | -14 (1.4) ▼ |
| უზბეკეთი | 396 (3.7) | 396 (4.3) | 0 (1.7) | 401 (3.2) | 6 (2.0) ▲ | 388 (3.7) | -8 (1.8) ▼ | 389 (3.4) | -7 (1.9) ▼ |
| პალესტინა | 393 (2.9) | 388 (2.9) | -5 (0.9) ▼ | 409 (3.1) | 16 (1.8) ▲ | 402 (2.8) | 9 (1.2) ▲ | 368 (3.4) | -25 (1.5) ▼ |
| Ψ სამხრეთ აფრიკა | 362 (4.0) | 346 (4.2) | -16 (0.8) ▼ | 368 (4.4) | 6 (1.7) ▲ | 374 (3.8) | 12 (0.8) ▲ | 361 (3.7) | -2 (1.6) |
| Ψ მაროკო | 327 (3.4) | 318 (3.8) | -9 (2.1) ▼ | 333 (3.4) | 6 (2.1) ▲ | 324 (3.9) | -3 (1.6) | 327 (3.4) | 0 (1.8) |
| ≡ ახალი ზელანდია | 502 (4.0) | 497 (4.2) | -5 (1.6) ▼ | 501 (4.2) | -1 (1.9) | 508 (4.4) | 6 (2.7) | 508 (3.8) | 6 (2.0) ▲ |
| Ж კოტ დ'ივუარის რესპუბლიკა | 183 (8.2) | - - | - - | - - | - - | - - | - - | - - | - - |
| **მონაწილე რეგიონები** | | | | | | | | | |
| დუბაი, გაერთ. საემიროები | 547 (3.2) | 551 (3.5) | 4 (1.1) ▲ | 559 (3.6) | 12 (1.6) ▲ | 542 (3.2) | -5 (1.4) ▼ | 536 (3.6) | -11 (1.7) ▼ |
| შარჯა, გაერთ. საემიროები | 499 (4.9) | 503 (5.4) | 5 (1.5) ▲ | 513 (5.2) | 14 (1.3) ▲ | 491 (5.0) | -7 (2.2) ▼ | 485 (5.2) | -13 (2.6) ▼ |
| აბუ დაბი, გაერთ. საემიროები | 443 (3.8) | 441 (4.0) | -2 (1.1) | 453 (4.0) | 9 (1.3) ▲ | 443 (3.6) | 0 (1.5) | 435 (3.9) | -8 (1.6) ▼ |

▲ ▼ ქვესკალის ქულა მნიშვნელოვნად განსხვავდება საერთო ქულისგან ($p < 0.01$)

() ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული შეცდომა.
ქვეყნების მარცხნივ მითითებული აღნიშვნები:
რიცხვები 1, 2 და 3 შეესაბამება პოპულაციის დაფარვასთან დაკავშირებულ კომენტარებს (1 - სამიზნე პოპულაცია არ არის სრულად დაფარული. მაგ., საქართველოს შემთხვევაში კვლევაში მონაწილეობდნენ მხოლოდ ის მოსწავლეები, რომელთა სწავლების ენა ქართულია; 2 - ქვეყნის მასშტაბით კვლევისთვის შერჩეული პოპულაცია შეადგენს კვლევის სამიზნე პოპულაციის 90%-დან 95%-მდე; 3 - ქვეყნის მასშტაბით კვლევისთვის შერჩეული პოპულაცია შეადგენს კვლევის სამიზნე პოპულაციის 77%-დან 90%-მდე);
აღნიშვნები †, ‡, ≡ ეხება შერჩეული სკოლებისა და მოსწავლეების კვლევაში მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. TIMSS-ის სტანდარტების მიხედვით, შერჩეული სკოლებისა და მოსწავლეების მინიმუმ 85%-მა უნდა მიიღოს მონაწილეობა კვლევაში († - ქვეყანამ დააკმაყოფილა ეს სტანდარტი სათადარიგო სკოლების დამატებით; ‡ - ქვეყანამ თითქმის დააკმაყოფილა ეს სტანდარტი სათადარიგო სკოლების დამატებით; ≡ - ქვეყანამ ვერ დააკმაყოფილა ეს სტანდარტი);
აღნიშვნები Ψ და Ж მითითებულია იმ ქვეყნების გასწვრივ, სადაც დგას შედეგების სანდოობის საკითხი - ამ ქვეყნებში ძალიან მაღალია იმ მოსწავლეების რაოდენობა, რომელთა მიღწევა იმდენად დაბალია, რომ ვერ ხერხდება მათი შეფასება (Ψ - ასეთი მოსწავლეების რაოდენობა 15%-დან 25%-მდეა; Ж - ასეთი მოსწავლეების რაოდენობა 25%-ზე მეტია).
აღნიშვნა „--“ მიუთითებს იმაზე, რომ ვერ მოხერხდა მონაცემების შედარებითი ანალიზი შინაარსობრივი სფეროების მიხედვით.

ქვემოთ წარმოდგენილია ქართველი მოსწავლეების საშუალო ქულები თითოეულ შინაარსობრივ სფეროში და მათი განსხვავება ბუნებისმეტყველების საერთო საშუალო ქულასთან.

**I. მეოთხე კლასი (საშუალო ქულა: 465):**

| *შინაარსობრივი სფერო* | **საშუალო ქულა** | **განსხვავება საერთო ქულასთან** |
|---|---|---|
| *სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები* | 464 | -1 |
| *ფიზიკა* | 464 | -1 |
| *დედამიწათმცოდნეობა* | 460 | -5 |

**II. მერვე კლასი (საშუალო ქულა: 448):**

| *შინაარსობრივი სფერო* | **საშუალო ქულა** | **განსხვავება საერთო ქულასთან** |
|---|---|---|
| *ბიოლოგია* | 459 | +11 |
| *ქიმია* | 448 | 0 |
| *ფიზიკა* | 440 | -8 |
| *დედამიწათმცოდნეობა* | 427 | -21 |

***დაწყებითი საფეხური***

საქართველოს მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი აჩვენებს, რომ მეოთხეკლასელი მოსწავლეების შედეგები:

- სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებსა (464 ქულა, სტანდარტული შეცდომა - 3.5) და ფიზიკაში (464 ქულა, სტანდარტული შეცდომა - 3.4) თანაბარია და ოდნავ ჩამორჩება მათსავე საერთო ქულას საბუნებისმეტყველო საგნებში (465, სტანდარტული შეცდომა - 3.4); თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სხვაობა სტატისტიკურად არსებითი არ არის.
- დედამიწათმცოდნეობაში შედეგი შედარებით დაბალია (460 ქულა, სტანდარტული შეცდომა - 4.5, ხუთი ქულით ჩამორჩება ბუნებისმეტყველების საერთო ქულას).

***საბაზო საფეხური***

საქართველოს *მერვე კლასის მოსწავლეების მიღწევები შინაარსობრივი სფეროების მიხედვით, ასეთია:*

- მოსწავლეებს უკეთესი შედეგი აქვთ ბიოლოგიაში - მათი მიღწევა ბიოლოგიაში აღემატება საბუნებისმეტყველო საგნების საერთო ქულას (459 ქულა, სტანდარტული შეცდომა - 3.3, რაც 11 ქულით მეტია ბუნებისმეტყველების საერთო ქულაზე - 448, სტანდარტული შეცდომა - 2.9).
- მოსწავლეთა მიღწევები ქიმიაში საბუნებისმეტყველო საგნების საერთო ქულის ტოლია (448, სტანდარტული შეცდომა - 3.3);

- **ყველაზე დაბალი საშუალო მიღწევა** ქართველ მოსწავლეებს **დედამიწათმცოდნეობაში აქვთ** (427 ქულა, სტანდარტული შეცდომა - 3.2, რაც 21 ქულით ნაკლებია, ვიდრე საბუნებისმეტყველო საგნების საერთო საშუალო ქულა).
- **ასევე, მერვეკლასელი მოსწავლეები განსაკუთრებულ აკადემიურ სირთულეს აწყდებიან ფიზიკაში** (შედეგი 440 ქულაა, სტანდარტული შეცდომა - 3.2; ეს შედეგი 8 ქულით ჩამორჩება მათსავე საერთო საშუალოს ბუნებისმეტყველებაში).

ეს მონაცემები მიუთითებს, რომ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლა-სწავლებას საქართველოში აქვს მნიშვნელოვანი გამოწვევები, განსაკუთრებით სწავლების საბაზო საფეხურზე და განსაკუთრებით ფიზიკასა და დედამიწათმცოდნეობაში.

***შინაარსობრივი სფეროები: საქართველოს შედეგები საერთაშორისო კონტექსტში***

**მე-4 კლასი:**

- **სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები:** ამ სფეროში საბუნებისმეტყველო საგნების საერთო ქულასთან შედარებით სტატისტიკურად უფრო მაღალი მაჩვენებელი (▲) აქვს 9 ქვეყანას და უფრო დაბალი (▼) – 18 ქვეყანას.
- **ფიზიკის ნაწილი:** ამ სფეროში საბუნებისმეტყველო საგნების საერთო ქულასთან შედარებით სტატისტიკურად უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს 21 ქვეყანას, უფრო დაბალი კი - 13 ქვეყანას.
- **დედამიწათმცოდნეობა:** ამ სფეროში საბუნებისმეტყველო საგნების საერთო ქულასთან შედარებით სტატისტიკურად უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს 9 ქვეყანას, უფრო დაბალი – 17 ქვეყანას.

  ბუნებისმეტყველების სამივე შინაარსობრივ სფეროში ქართველი მოსწავლეების მიღწევები სტატისტიკურად არსებითად არ განსხვავდება ქვეყნის საშუალო ქულისაგან.

**მე-8 კლასი:**

- **ბიოლოგია**: ამ სფეროში საბუნებისმეტყველო საგნების საერთო ქულასთან შედარებით სტატისტიკურად უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს 10 ქვეყანას (მათ შორის საქართველოსაც) და უფრო დაბალი – 16 ქვეყანას.
- **ქიმია:** ამ სფეროში საბუნებისმეტყველო საგნების საერთო ქულასთან შედარებით სტატისტიკურად უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს 13 ქვეყანას, უფრო დაბალი კი – 10 ქვეყანას.
- **ფიზიკა**: ამ სფეროში საბუნებისმეტყველო საგნების საერთო ქულასთან შედარებით სტატისტიკურად უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს 14 ქვეყანას და უფრო დაბალიც – 12 ქვეყანას (მათ შორის საქართველოსაც).
- **დედამიწათმცოდნეობა:** ამ სფეროში საბუნებისმეტყველო საგნების საერთო ქულასთან შედარებით სტატისტიკურად უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს 14 ქვეყანას, უფრო დაბალი – 15 ქვეყანას (მათ შორის საქართველოსაც).

## მოსწავლეთა მიღწევები კოგნიტური სფეროების მიხედვით

შინაარსობრივ სფეროებთან ერთად TIMSS-ის კვლევაში მოსწავლეების მიღწევები საბუნებისმეტყველო საგნებში ფასდება 3 კოგნიტური სფეროს მიხედვითაც: ცოდნა, გამოყენება, მსჯელობა. ეს საშუალებას გვაძლევს, შეფასდეს არა მხოლოდ ის, თუ რამდენად ფლობენ მოსწავლეები საგნობრივ ცოდნას (ცნებების, კონცეფციებისა თუ პროცედურების გახსენება, აღწერა და სხვა), არამედ გავაანალიზოთ, რამდენად ეფექტურად იყენებენ ამ ცოდნას პრაქტიკულ სიტუაციებში და რამდენად განვითარებული აქვთ მსჯელობის, არგუმენტირების უნარი, რაც რეალურად ასახავს მათ აკადემიურ და კვლევით შესაძლებლობებს.

ქვემოთ მოცემულ ილუსტრაციებში წარმოდგენილია კვლევაში მონაწილე ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი თითოეული კოგნიტური სფეროსთვის და ამ მაჩვენებლის შედარება საბუნებისმეტყველო საგნებში ქვეყნის საერთო ქულასთან, რომლის მიხედვითაც იყო შედგენილი ქვეყნების რეიტინგული სია.

ბუნებისმეტყველება • მე-4 კლასი

TIMSS 2023

***ილუსტრაცია 19**. მოსწავლეთა საშუალო მიღწევები კოგნიტური სფეროების მიხედვით (მე-4 კლასი)*

| ქვეყანა | ბუნებისმეტყველების საერთო ქულა | ცოდნა | | გამოყენება | | მსჯელობა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საშუალო ქულა | სხვაობა საერთო ქულასთან | საშუალო ქულა | სხვაობა საერთო ქულასთან | საშუალო ქულა | სხვაობა საერთო ქულასთან |
| [3] სინგაპური | 607 (2.8) | 610 (2.9) | 3 (1.4) | 595 (2.7) | -13 (1.4) ▼ | 621 (2.8) | 14 (1.5) ▲ |
| კორეის რესპუბლიკა | 583 (2.5) | 584 (2.9) | 1 (1.6) | 584 (2.5) | 0 (1.2) | 583 (2.4) | 0 (1.2) |
| ჩინური ტაიბეი | 573 (1.7) | 580 (2.0) | 7 (1.1) ▲ | 569 (2.5) | -4 (1.5) | 567 (2.0) | -6 (1.2) ▼ |
| [3] თურქეთი | 570 (3.4) | 572 (4.1) | 2 (2.5) | 567 (4.0) | -3 (2.5) | 574 (3.9) | 4 (2.4) |
| [2] ინგლისი | 556 (2.6) | 555 (3.1) | -1 (2.1) | 558 (3.0) | 1 (1.9) | 556 (2.8) | -1 (2.0) |
| იაპონია | 555 (2.4) | 538 (3.3) | -17 (2.2) ▼ | 560 (2.9) | 5 (1.2) ▲ | 568 (2.5) | 13 (1.2) ▲ |
| [2] პოლონეთი | 550 (2.2) | 548 (2.0) | -2 (1.2) | 553 (2.3) | 3 (1.2) | 546 (2.5) | -4 (2.1) |
| ავსტრალია | 550 (2.3) | 552 (2.8) | 3 (2.5) | 548 (2.4) | -1 (1.5) | 548 (3.6) | -2 (2.3) |
| [†] ჰონკონგი | 545 (3.8) | 548 (4.9) | 2 (2.5) | 543 (3.8) | -3 (1.6) | 542 (4.6) | -3 (2.4) |
| ფინეთი | 542 (2.9) | 541 (2.9) | -1 (1.2) | 545 (2.9) | 3 (0.7) ▲ | 540 (3.0) | -2 (1.5) |
| [2] ლიეტუვა | 537 (2.9) | 537 (2.7) | 0 (1.3) | 533 (2.7) | -4 (1.4) ▼ | 543 (2.5) | 6 (2.0) ▲ |
| მაკაო | 536 (1.4) | 538 (1.8) | 2 (1.4) | 534 (1.6) | -2 (0.7) ▼ | 534 (1.5) | -2 (1.3) |
| [2] შვედეთი | 533 (3.2) | 523 (3.8) | -10 (1.6) ▼ | 532 (3.3) | 0 (1.3) | 546 (3.5) | 14 (1.3) ▲ |
| [2 †] აშშ | 532 (2.8) | 535 (3.3) | 2 (1.3) | 530 (3.0) | -2 (0.9) | 530 (3.0) | -3 (0.7) ▼ |
| ირლანდია | 532 (3.2) | 534 (3.1) | 2 (1.6) | 530 (3.7) | -2 (2.1) | 531 (3.3) | -1 (1.1) |
| [2] ნორვეგია | 530 (2.6) | 529 (2.5) | -2 (1.0) | 530 (2.4) | 0 (1.2) | 534 (3.1) | 3 (2.2) |
| ბულგარეთი | 530 (4.8) | 535 (5.0) | 5 (1.9) ▲ | 528 (5.0) | -2 (1.6) | 523 (5.3) | -6 (2.1) ▼ |
| [2 ≡] რუმინეთი | 526 (4.8) | 523 (4.7) | -3 (1.9) | 521 (4.9) | -5 (1.7) ▼ | 540 (4.9) | 14 (1.3) ▲ |
| [2] ჩეხეთის რესპუბლიკა | 526 (2.3) | 524 (2.6) | -2 (1.2) | 523 (2.3) | -3 (1.3) | 529 (2.9) | 3 (1.6) |
| სლოვენია | 526 (2.3) | 524 (2.2) | -2 (2.0) | 534 (2.6) | 8 (1.6) ▲ | 512 (2.6) | -13 (2.2) ▼ |
| ლატვია | 526 (3.0) | 522 (3.0) | -4 (1.9) | 525 (3.4) | 0 (1.3) | 529 (3.7) | 4 (1.8) |
| უნგრეთი | 524 (3.2) | 522 (3.7) | -3 (1.5) | 524 (3.6) | -1 (1.3) | 526 (3.6) | 2 (1.6) |
| [†] დანია | 522 (2.6) | 521 (2.7) | -2 (2.1) | 520 (3.3) | -2 (1.6) | 528 (2.7) | 6 (1.7) ▲ |
| [1 3] კანადა | 521 (2.0) | 527 (2.3) | 6 (1.4) ▲ | 520 (2.5) | -1 (1.1) | 515 (2.9) | -6 (1.7) ▼ |
| სლოვაკეთის რესპუბლიკა | 521 (3.3) | 524 (3.4) | 4 (1.7) | 520 (3.6) | -1 (1.2) | 517 (4.6) | -4 (2.9) |
| [2 †] ახალი ზელანდია | 517 (2.8) | 520 (2.2) | 3 (1.5) | 514 (2.7) | -3 (1.7) | 514 (3.1) | -3 (2.2) |
| [†] ნიდერლანდები | 517 (2.9) | 518 (3.1) | 1 (2.2) | 513 (2.5) | -4 (1.8) | 520 (3.0) | 3 (3.1) |
| გერმანია | 515 (2.8) | 515 (2.5) | -1 (1.3) | 512 (2.7) | -4 (1.3) ▼ | 516 (2.9) | 0 (2.6) |
| პორტუგალია | 511 (2.3) | 506 (2.7) | -5 (1.4) ▼ | 511 (3.5) | 0 (2.3) | 512 (2.8) | 1 (1.6) |
| [2] იტალია | 511 (2.5) | 511 (2.9) | 1 (1.3) | 508 (2.8) | -2 (1.9) | 506 (2.7) | -4 (1.4) ▼ |
| [2] სერბეთი | 510 (3.2) | 501 (3.0) | -8 (1.7) ▼ | 514 (3.5) | 4 (1.8) | 514 (3.8) | 4 (1.5) ▲ |
| [2] ესპანეთი | 504 (2.1) | 508 (2.3) | 4 (0.6) ▲ | 502 (2.0) | -3 (1.1) | 498 (2.5) | -6 (1.6) ▼ |
| არაბეთის გაერთ. საემიროები | 495 (1.8) | 507 (1.6) | 12 (0.7) ▲ | 492 (1.7) | -3 (0.5) ▼ | 481 (1.5) | -14 (0.6) ▼ |
| [2 ≡] ალბანეთი | 491 (4.5) | 489 (4.8) | -2 (1.9) | 487 (4.5) | -3 (1.6) | 496 (5.3) | 6 (2.6) |
| [2 †] ბელგია (ფლამანდრიული) | 488 (2.6) | 488 (3.3) | 0 (1.8) | 485 (2.5) | -4 (1.3) ▼ | 497 (3.4) | 9 (1.8) ▲ |
| [2] საფრანგეთი | 488 (3.0) | 491 (2.9) | 3 (2.0) | 487 (3.5) | -1 (1.7) | 479 (3.5) | -9 (1.7) ▼ |
| [2] კვიპროსი | 487 (3.1) | 480 (3.6) | -7 (2.0) ▼ | 493 (3.1) | 6 (0.9) ▲ | 487 (2.9) | 0 (1.9) |
| [2] ბელგია (ფრანგული) | 481 (2.8) | 478 (2.8) | -2 (1.6) | 480 (3.1) | 0 (1.7) | 483 (2.5) | 2 (2.1) |
| [2 †] ჩილე | 479 (2.7) | 479 (3.2) | 0 (1.7) | 479 (2.5) | -1 (1.9) | 477 (2.9) | -3 (2.4) |
| ბაჰრეინი | 475 (3.9) | 477 (4.4) | 2 (1.6) | 475 (3.9) | 0 (2.0) | 465 (4.1) | -10 (1.3) ▼ |
| ყატარი | 472 (3.6) | 476 (3.7) | 4 (1.0) ▲ | 470 (3.7) | -2 (1.0) | 464 (3.7) | -8 (1.3) ▼ |
| [2] ყაზახეთი | 467 (3.5) | 460 (4.1) | -6 (1.7) ▼ | 466 (3.7) | -1 (1.5) | 475 (3.9) | 9 (1.6) ▲ |
| **[1] საქართველო** | **465 (3.4)** | **460 (4.5)** | **-5 (2.7)** | **461 (3.6)** | **-4 (2.1)** | **470 (3.1)** | **5 (2.1)** |
| [2] მონტენეგრო | 461 (2.0) | 454 (2.9) | -7 (1.9) ▼ | 463 (2.2) | 3 (1.0) ▲ | 461 (2.9) | 0 (1.6) |
| [2] სომხეთი | 457 (2.7) | 458 (3.2) | 1 (1.9) | 453 (2.4) | -4 (1.0) ▼ | 461 (2.4) | 4 (1.6) |
| [1] ბოსნია და ჰერცეგოვინა | 448 (3.7) | 441 (3.3) | -7 (2.6) ▼ | 454 (3.8) | 5 (2.8) | 443 (3.9) | -5 (2.2) |
| ჩრდილოეთ მაკედონია | 439 (3.9) | 434 (4.3) | -5 (1.3) ▼ | 440 (3.4) | 1 (1.6) | 442 (4.8) | 4 (2.8) |
| ომანი | 433 (4.2) | 426 (4.4) | -7 (1.4) ▼ | 435 (4.4) | 2 (1.2) | 435 (4.0) | 3 (1.4) |
| ირანის ისლამური რესპუბლიკა | 432 (4.5) | 435 (4.6) | 3 (1.9) | 428 (4.5) | -4 (1.3) ▼ | 431 (4.2) | -1 (1.9) |
| [3] საუდის არაბეთი | 428 (4.0) | 430 (4.7) | 3 (1.8) | 425 (4.1) | -2 (2.0) | 424 (4.3) | -4 (1.4) ▼ |
| [2] ბრაზილია | 425 (3.5) | 427 (3.5) | 2 (0.9) | 420 (3.4) | -5 (0.9) ▼ | 427 (3.6) | 2 (1.1) |
| აზერბაიჯანი | 422 (3.3) | 425 (3.0) | 4 (1.8) | 416 (3.3) | -6 (2.8) | 421 (3.5) | -1 (2.0) |
| იორდანია | 418 (4.9) | 423 (5.4) | 5 (1.8) ▲ | 412 (5.5) | -6 (1.9) ▼ | 409 (4.9) | -9 (2.3) ▼ |
| უზბეკეთი | 412 (3.5) | 415 (4.3) | 3 (1.6) | 406 (3.6) | -6 (2.4) | 406 (3.2) | -6 (1.6) ▼ |
| [2] კოსოვო | 403 (3.6) | 399 (3.8) | -4 (2.0) | 406 (3.6) | 3 (2.1) | 397 (3.2) | -6 (2.7) |
| მაროკო | 390 (5.3) | 386 (5.7) | -4 (2.0) | 381 (5.5) | -9 (1.7) ▼ | 398 (5.0) | 7 (2.1) ▲ |
| [Ψ] ქუვეითი | 373 (5.5) | 382 (5.6) | 9 (1.6) ▲ | 356 (5.7) | -17 (1.5) ▼ | 353 (6.0) | -20 (1.8) ▼ |
| [Ж] სამხრეთ აფრიკა | 308 (4.7) | - - | - - | - - | - - | - - | - - |
| **მონაწილე რეგიონები** | | | | | | | |
| დუბაი, გაერთ. საემიროები | 562 (1.8) | 578 (1.7) | 15 (1.1) ▲ | 561 (1.7) | -2 (1.0) | 546 (1.8) | -16 (1.3) ▼ |
| [3] ონტარიო, კანადა | 525 (3.2) | 532 (3.4) | 6 (1.6) ▲ | 527 (3.5) | 2 (1.4) | 518 (4.1) | -7 (2.2) ▼ |
| [2] კვებეკი, კანადა | 508 (2.7) | 512 (2.8) | 4 (1.4) ▲ | 502 (3.0) | -5 (1.3) ▼ | 504 (3.5) | -3 (1.9) |
| შარჯა, გაერთ. საემიროები | 503 (3.9) | 518 (4.1) | 15 (1.9) ▲ | 500 (4.2) | -3 (1.7) | 485 (3.6) | -18 (1.0) ▼ |
| აბუ დაბი, გაერთ. საემიროები | 446 (2.6) | 454 (2.8) | 8 (0.9) ▲ | 443 (2.4) | -3 (0.8) ▼ | 437 (2.2) | -9 (1.5) ▼ |

▲ ▼ ქვესკალის ქულა მნიშვნელოვნად განსხვავდება საერთო ქულისგან ($p < 0.01$)

() ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული შეცდომა.

ქვეყნების მარცხნივ მითითებული აღნიშვნები:

რიცხვები 1, 2 და 3 შეესაბამება პოპულაციის დაფარვასთან დაკავშირებულ კომენტარებს (1 - სამიზნე პოპულაცია არ არის სრულად დაფარული. მაგ., საქართველოს შემთხვევაში კვლევაში მონაწილეობდნენ მხოლოდ ის მოსწავლეები, რომელთა სწავლების ენა ქართულია; 2 - ქვეყნის მასშტაბით კვლევისთვის შერჩეული პოპულაცია შეადგენს კვლევის სამიზნე პოპულაციის 90%-დან 95%-მდე; 3 - ქვეყნის მასშტაბით კვლევისთვის შერჩეული პოპულაცია შეადგენს კვლევის სამიზნე პოპულაციის 77%-დან 90%-მდე);

აღნიშვნები †, ‡, ≡ ეხება შერჩეული სკოლებისა და მოსწავლეების კვლევაში მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. TIMSS-ის სტანდარტების მიხედვით, შერჩეული სკოლებისა და მოსწავლეების მინიმუმ 85%-მა უნდა მიიღოს მონაწილეობა კვლევაში († - ქვეყანამ დააკმაყოფილა ეს სტანდარტი სათადარიგო სკოლების დამატებით; ‡ - ქვეყანამ თითქმის დააკმაყოფილა ეს სტანდარტი სათადარიგო სკოლების დამატებით; ≡ - ქვეყანამ ვერ დააკმაყოფილა ეს სტანდარტი);

აღნიშვნები Ψ და Ж მითითებულია იმ ქვეყნების გასწვრივ, სადაც დგას შედეგების სანდოობის საკითხი - ამ ქვეყნებში ძალიან მაღალია იმ მოსწავლეების რაოდენობა, რომელთა მიღწევა იმდენად დაბალია, რომ ვერ ხერხდება მათი შეფასება (Ψ - ასეთი მოსწავლეების რაოდენობა 15%-დან 25%-მდეა; Ж - ასეთი მოსწავლეების რაოდენობა 25%-ზე მეტია).

აღნიშვნა „--“ მიუთითებს იმაზე, რომ ვერ მოხერხდა მონაცემების შედარებითი ანალიზი კოგნიტური სფეროების მიხედვით.

**ბუნებისმეტყველება • მე-8 კლასი**

***ილუსტრაცია 20**. მოსწავლეთა საშუალო მიღწევები კოგნიტური სფეროების მიხედვით (მე-8 კლასი)*

| ქვეყანა | ბუნებისმეტყველების საერთო ქულა | ცოდნა | | გამოყენება | | მსჯელობა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საშუალო ქულა | სხვაობა საერთო ქულასთან | საშუალო ქულა | სხვაობა საერთო ქულასთან | საშუალო ქულა | სხვაობა საერთო ქულასთან |
| [3] სინგაპური | 606 (5.7) | 610 (5.7) | 4 (1.6) ▲ | 605 (5.8) | -2 (1.0) | 608 (5.7) | 1 (1.4) |
| ჩინური ტაიბეი | 572 (2.4) | 592 (2.8) | 21 (1.6) ▲ | 574 (2.5) | 2 (0.8) | 556 (2.4) | -16 (1.3) ▼ |
| † იაპონია | 557 (3.1) | 558 (3.5) | 1 (2.6) | 559 (3.5) | 2 (2.1) | 555 (3.2) | -2 (2.3) |
| კორეის რესპუბლიკა | 545 (2.2) | 535 (2.9) | -10 (1.8) ▼ | 547 (2.2) | 2 (1.1) | 554 (2.3) | 9 (1.4) ▲ |
| [2] ინგლისი | 531 (4.3) | 532 (4.6) | 1 (2.4) | 528 (4.2) | -3 (1.1) ▼ | 536 (4.8) | 5 (1.7) ▲ |
| ფინეთი | 531 (3.2) | 529 (2.9) | -1 (1.1) | 531 (3.0) | 0 (2.1) | 533 (3.2) | 2 (1.4) |
| [3] † თურქეთი | 530 (3.6) | 503 (4.1) | -26 (2.5) ▼ | 537 (3.7) | 7 (1.3) ▲ | 543 (3.9) | 14 (2.3) ▲ |
| † ჰონკონგი | 528 (4.7) | 528 (4.7) | 0 (1.1) | 527 (5.0) | -1 (1.5) | 528 (5.0) | 1 (1.3) |
| [2] ჩეხეთის რესპუბლიკა | 527 (2.0) | 530 (2.1) | 3 (1.0) ▲ | 529 (2.4) | 2 (1.4) | 519 (2.4) | -8 (1.1) ▼ |
| ირლანდია | 525 (3.5) | 519 (3.8) | -6 (1.0) ▼ | 524 (3.8) | -1 (1.4) | 531 (3.4) | 6 (1.4) ▲ |
| უნგრეთი | 522 (3.3) | 531 (3.5) | 9 (1.3) ▲ | 522 (3.3) | 0 (1.4) | 512 (3.2) | -9 (1.0) ▼ |
| [2] შვედეთი | 521 (2.9) | 514 (3.1) | -7 (1.2) ▼ | 521 (3.2) | -1 (1.6) | 528 (3.1) | 7 (1.2) ▲ |
| ავსტრალია | 520 (3.2) | 513 (3.1) | -7 (1.4) ▼ | 520 (3.2) | 0 (1.0) | 526 (3.4) | 6 (1.2) ▲ |
| [2] ლიეტუვა | 519 (3.0) | 515 (2.9) | -4 (1.8) | 520 (3.1) | 1 (1.7) | 521 (3.2) | 2 (1.8) |
| ≡ აშშ | 513 (3.9) | 503 (4.0) | -11 (1.5) ▼ | 514 (3.9) | 0 (1.2) | 521 (4.1) | 8 (1.0) ▲ |
| [2] ავსტრია | 512 (2.4) | 511 (2.7) | -1 (1.4) | 512 (2.4) | 0 (0.9) | 512 (2.6) | 0 (1.4) |
| პორტუგალია | 506 (2.4) | 510 (3.0) | 5 (1.6) ▲ | 505 (2.4) | -1 (1.0) | 500 (3.3) | -5 (2.6) |
| მალტა | 501 (1.6) | 496 (2.4) | -5 (1.7) ▼ | 501 (1.6) | 0 (1.1) | 505 (2.9) | 4 (2.6) |
| იტალია | 501 (3.2) | 510 (4.1) | 10 (2.5) ▲ | 499 (3.8) | -1 (1.6) | 490 (3.5) | -10 (1.2) ▼ |
| [2] ნორვეგია | 488 (2.6) | 485 (3.0) | -3 (1.8) | 487 (2.7) | -2 (0.9) | 493 (2.9) | 5 (1.2) ▲ |
| არაბეთის გაერთ. საემიროები | 486 (2.0) | 492 (2.4) | 6 (0.8) ▲ | 486 (2.0) | 0 (0.8) | 478 (2.0) | -8 (0.5) ▼ |
| საფრანგეთი | 486 (3.2) | 487 (3.6) | 1 (2.7) | 481 (3.2) | -5 (1.5) ▼ | 491 (3.4) | 5 (1.9) ▲ |
| ყატარი | 481 (4.3) | 485 (4.2) | 4 (1.3) ▲ | 481 (4.4) | 0 (1.0) | 472 (4.6) | -9 (1.9) ▼ |
| [3] ისრაელი | 481 (3.6) | 475 (3.9) | -5 (1.5) ▼ | 477 (3.6) | -3 (0.9) ▼ | 489 (4.5) | 8 (2.5) ▲ |
| ≡ რუმინეთი | 466 (4.1) | 479 (4.1) | 13 (2.0) ▲ | 462 (4.4) | -4 (1.7) | 454 (4.4) | -12 (1.2) ▼ |
| კვიპროსი | 464 (3.0) | 472 (3.2) | 8 (1.3) ▲ | 460 (3.0) | -5 (1.1) ▼ | 461 (3.2) | -3 (1.6) |
| ომანი | 456 (2.6) | 460 (2.9) | 5 (1.2) ▲ | 457 (2.3) | 1 (1.0) | 447 (2.4) | -9 (1.6) ▼ |
| † ჩილე | 455 (2.7) | 461 (2.6) | 6 (1.6) ▲ | 452 (2.7) | -4 (1.1) ▼ | 454 (2.8) | -1 (1.9) |
| ბაჰრეინი | 452 (2.6) | 452 (2.6) | 0 (1.7) | 455 (2.2) | 3 (1.7) | 441 (3.0) | -11 (1.7) ▼ |
| [1] **საქართველო** | **448 (2.9)** | **461 (3.4)** | **13 (2.2)** ▲ | **444 (2.6)** | **-4 (1.1)** ▼ | **434 (2.5)** | **-14 (1.7)** ▼ |
| ყაზახეთი | 443 (3.0) | 429 (3.6) | -14 (1.7) ▼ | 446 (2.9) | 4 (1.0) ▲ | 446 (3.4) | 4 (1.5) ▲ |
| მალაიზია | 426 (3.7) | 413 (4.0) | -14 (0.9) ▼ | 429 (3.6) | 3 (0.7) ▲ | 433 (3.9) | 7 (1.4) ▲ |
| ბრაზილია | 420 (2.5) | 424 (2.5) | 4 (1.0) ▲ | 418 (2.5) | -2 (1.0) | 416 (3.0) | -4 (1.5) ▼ |
| ქუვეითი | 420 (5.8) | 430 (6.2) | 10 (3.3) ▲ | 417 (6.0) | -3 (2.2) | 406 (5.4) | -14 (1.9) ▼ |
| [2] საუდის არაბეთი | 419 (3.4) | 422 (3.6) | 3 (0.8) ▲ | 419 (3.4) | -1 (1.4) | 411 (3.3) | -8 (1.0) ▼ |
| ირანის ისლამური რესპუბლიკა | 419 (3.6) | 416 (4.1) | -3 (2.0) | 423 (3.4) | 4 (1.5) ▲ | 409 (3.4) | -10 (1.2) ▼ |
| იორდანია | 413 (3.6) | 412 (3.4) | 0 (1.3) | 414 (3.3) | 1 (1.4) | 402 (3.7) | -10 (1.4) ▼ |
| აზერბაიჯანი | 411 (3.0) | 410 (3.6) | -1 (1.9) | 415 (2.8) | 4 (1.1) ▲ | 406 (3.9) | -6 (2.5) |
| უზბეკეთი | 396 (3.7) | 396 (3.5) | 0 (1.6) | 397 (3.8) | 2 (1.9) | 387 (4.5) | -8 (1.6) ▼ |
| პალესტინა | 393 (2.9) | 400 (3.0) | 7 (1.4) ▲ | 393 (3.0) | 0 (1.4) | 376 (3.6) | -17 (1.9) ▼ |
| Ψ სამხრეთ აფრიკა | 362 (4.0) | 346 (4.1) | -16 (1.3) ▼ | 372 (3.8) | 10 (1.2) ▲ | 363 (3.9) | 0 (1.3) |
| Ψ მაროკო | 327 (3.4) | 325 (3.9) | -2 (1.3) | 324 (3.1) | -3 (1.2) ▼ | 326 (4.0) | -1 (2.5) |
| ≡ ახალი ზელანდია | 502 (4.0) | 491 (4.4) | -11 (1.6) ▼ | 501 (3.9) | -1 (1.4) | 515 (4.3) | 13 (1.7) ▲ |
| Ж კოტ დ'ივუარის რესპუბლიკა | 183 (8.2) | - - | - - | - - | - - | - - | - - |
| **მონაწილე რეგიონები** | | | | | | | |
| დუბაი, გაერთ. საემიროები | 547 (3.2) | 557 (3.5) | 9 (1.4) ▲ | 546 (3.2) | -1 (0.8) | 540 (3.4) | -7 (1.5) ▼ |
| შარჯა, გაერთ. საემიროები | 499 (4.9) | 510 (5.6) | 11 (1.3) ▲ | 498 (5.1) | 0 (1.7) | 485 (4.8) | -14 (2.0) ▼ |
| აბუ დაბი, გაერთ. საემიროები | 443 (3.8) | 440 (4.2) | -4 (1.3) ▼ | 446 (3.7) | 3 (0.9) ▲ | 441 (3.6) | -2 (1.0) |

▲ ▼ ქვესკალის ქულა მნიშვნელოვნად განსხვავდება საერთო ქულისგან ($p$ < 0.0

() ფრჩხილებში მოცემულია სტანდარტული შეცდომა.
ქვეყნების მარცხნივ მითითებული აღნიშვნები:
რიცხვები 1, 2 და 3 შეესაბამება პოპულაციის დაფარვასთან დაკავშირებულ კომენტარებს (1 - სამიზნე პოპულაცია არ არის სრულად დაფარული. მაგ., საქართველოს შემთხვევაში კვლევაში მონაწილეობდნენ მხოლოდ ის მოსწავლეები, რომელთა სწავლების ენა ქართულია; 2 - ქვეყნის მასშტაბით კვლევისთვის შერჩეული პოპულაცია შეადგენს კვლევის სამიზნე პოპულაციის 90%-დან 95%-მდე; 3 - ქვეყნის მასშტაბით კვლევისთვის შერჩეული პოპულაცია შეადგენს კვლევის სამიზნე პოპულაციის 77%-დან 90%-მდე);
აღნიშვნები †, ‡, ≡ ეხება შერჩეული სკოლებისა და მოსწავლეების კვლევაში მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. TIMSS-ის სტანდარტების მიხედვით, შერჩეული სკოლებისა და მოსწავლეების მინიმუმ 85%-მა უნდა მიიღოს მონაწილეობა კვლევაში († - ქვეყანამ დააკმაყოფილა ეს სტანდარტი სათადარიგო სკოლების დამატებით; ‡ - ქვეყანამ თითქმის დააკმაყოფილა ეს სტანდარტი სათადარიგო სკოლების დამატებით; ≡ - ქვეყანამ ვერ დააკმაყოფილა ეს სტანდარტი);
აღნიშვნები Ψ და Ж მითითებულია იმ ქვეყნების გასწვრივ, სადაც დგას შედეგების სანდოობის საკითხი - ამ ქვეყნებში ძალიან მაღალია იმ მოსწავლეების რაოდენობა, რომელთა მიღწევა იმდენად დაბალია, რომ ვერ ხერხდება მათი შეფასება (Ψ - ასეთი მოსწავლეების რაოდენობა 15%-დან 25%-მდეა; Ж - ასეთი მოსწავლეების რაოდენობა 25%-ზე მეტია).
აღნიშვნა „--“ მიუთითებს იმაზე, რომ ვერ მოხერხდა მონაცემების შედარებითი ანალიზი კოგნიტური სფეროების მიხედვით.

TIMSS-ის კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მოსწავლეთა მიღწევები საბუნებისმეტყველო საგნების სხვადასხვა კოგნიტურ სფეროში განსხვავებულია. ზოგიერთ შემთხვევაში მოსწავლეთა მიღწევები კონკრეტულ კოგნიტურ სფეროებში მათ საერთო საბუნებისმეტყველო ქულაზე მაღალია, ხოლო სხვა შემთხვევებში – დაბალი, რაც ცხადყოფს, რომ მოსწავლეებს განსხვავებული გამოწვევები აქვთ ცოდნის, გამოყენებისა და მსჯელობის კომპონენტებში.

საქართველო იმ ქვეყნების რიგშია, რომელთა ***მეოთხეკლასელების*** მიღწევებიც კოგნიტურ სფეროებში სტატისტიკურად არსებითად არ განსხვავდება მისივე საერთო საშუალო ქულისაგან; ანუ, დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა კოგნიტური უნარები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულად ვითარდება, თუმცა შედეგების გათვალისწინებით - არასაკმარისი ტემპით.

ქართველ ***მერვეკლასელებს*** უკეთესი შედეგი აქვთ საბუნებისმეტყველო საგნების თეორიულ ცოდნაში და ყველაზე ცუდი კი - საბუნებისმეტყველო თემების გარშემო მსჯელობის კომპონენტში.

***კოგნიტური სფეროები: შედეგების შედარებითი ანალიზი საერთაშორისო კონტექსტში***

***მე-4 კლასი***

- **ცოდნა**: ამ სფეროში საბუნებისმეტყველო საგნების საერთო ქულასთან შედარებით სტატისტიკურად უფრო მაღალი მაჩვენებელი (▲) აქვს 8 ქვეყანას და უფრო დაბალი (▼) – 10 ქვეყანას.
- **გამოყენება:** ამ სფეროში საბუნებისმეტყველო საგნების საერთო ქულასთან შედარებით სტატისტიკურად უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს 5 ქვეყანას და უფრო დაბალი – 13 ქვეყანას.
- **მსჯელობა:** ამ სფეროში საბუნებისმეტყველო საგნების საერთო ქულასთან შედარებით სტატისტიკურად უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს 10 ქვეყანას და უფრო დაბალი – 15 ქვეყანა.

***მე-8 კლასი***

- **ცოდნა**: ამ სფეროში საბუნებისმეტყველო საგნების საერთო ქულასთან შედარებით სტატისტიკურად უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს 17 ქვეყანას (მათ შორის საქართველოსაც) და უფრო დაბალი – 12 ქვეყანას.
- **გამოყენება:** ამ სფეროში საბუნებისმეტყველო საგნების საერთო ქულასთან შედარებით სტატისტიკურად უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს 6 ქვეყანას და უფრო დაბალი – 7 ქვეყანას (მათ შორის საქართველოსაც).
- **მსჯელობა:** ამ სფეროში საბუნებისმეტყველო საგნების საერთო ქულასთან შედარებით სტატისტიკურად უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს 13 ქვეყანას და უფრო დაბალი – 17 ქვეყანას (მათ შორის საქართველოსაც).

# შეჯამება: რას გვიყვება TIMSS-ის შედეგები ქართველი მოსწავლეების შესახებ?

## კვლევის მიგნებები

TIMSS 2023-ის შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში მოსწავლეთა მიღწევები ბოლო ათწლეულების განმავლობაში მათემატიკაში, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე, თანმიმდევრულად გაუმჯობესდა; -ქართველი მეოთხეკლასელების მიღწევები, რომელიც უკვე საერთაშორისო საშუალო ნიშნულზეა, სასკოლო განათლების სისტემაში არსებული პროგრესის პირველ ნიშნებზე მიუთითებს. ამასთან, TIMSS 2023-ის მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს განათლების სისტემას ჯერ კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა აქვს:

- კვლევის შედეგები ცალსახად მიუთითებს **საბუნებისმეტყველო საგნების** სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ სერიოზულ გამოწვევებზე როგორც მეოთხე, ასევე - მერვე კლასში. დიდია მაღალი აკადემიური რისკის ქვეშ მყოფი მოსწავლეების წილი, რომლებიც მინიმალურ კომპეტენციებსაც ვერ ავლენენ. იგივე შეიძლება ითქვას **მათემატიკაში** მოსწავლეთა მიღწევებზე; აქ შედეგი საბუნებისმეტყველო საგნებთან შედარებით უკეთესია, თუმცა საყურადღებო.
- კვლევის შედეგები დაწყებითიდან საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა ტრანზიციის პროცესში შესაძლო სირთულეებზე მიუთითებს – მე-4 და მე-8 კლასების შედეგების შედარება აჩვენებს, რომ საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა მიღწევები შედარებით დაბალია და გრძელვადიანი გაუმჯობესების ტენდენციაც ნაკლებად გამოკვეთილია. თუმცა, TIMSS სხვადასხვა კლასისა და კოჰორტის მოსწავლეებს აფასებს, ეს განსხვავება უშუალოდ დაწყებითიდან საბაზო საფეხურზე ტრანზიციის ეფექტიანობის კაუზალურ მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება. ეს შედეგი უფრო მეტად მიუთითებს საბაზო საფეხურზე სწავლა-სწავლების პირობების, აკადემიური მხარდაჭერისა და მოსწავლეთა საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმების დამატებითი ანალიზის საჭიროებაზე. ამასთან, მიღებული სურათი აჩენს საფუძვლიან ვარაუდს, რომ საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა უწყვეტ აკადემიურ განვითარებას შესაძლოა აფერხებდეს ახალ აკადემიურ გარემოსთან ადაპტაციის სირთულეები, არასაკმარისი საგნობრივი და მეთოდური მხარდაჭერა ან მოსწავლეთა საჭიროებებზე რეაგირების ნაკლებად ეფექტიანი მექანიზმები. მიღებული სურათი
- ქართველი მოსწავლეების შედეგების ანალიზი *მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების* ***შინაარსობრივი სფეროების*** *მიხედვით,* აჩვენებს გარკვეულ კანონზომიერებებს, რომლებიც მნიშვნელოვანი სიგნალია როგორც დაწყებითი, ისე საბაზო საფეხურის პედაგოგებისა და სკოლებისთვის.

***მათემატიკა:*** ქართველი მოსწავლეები როგორც მე-4, ასევე მე-8 კლასებში შედარებით უკეთეს შედეგს აჩვენებენ *რიცხვების* შინაარსობრივ სფეროში; დაწყებით საფეხურზე შედარებით სუსტი შედეგებია *გეომეტრიულ ფიგურებსა და გაზომვებში, მონაცემების გამოსახვაში;* საბაზო საფეხურზე (მე-8 კლასი), *რიცხვების* მსგავსად, უკეთესი შედეგებია *ალგებრაში* და განსაკუთრებით დაბალი შედეგია *მონაცემებსა და ალბათობაში,* რაც მათემატიკის შინაარსობრივ სფეროებს შორის ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკულ სფეროა, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო კონტექსტში.

***საბუნებისმეტყველო საგნები:*** დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები უკეთეს შედეგს აჩვენებენ *სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებსა და ფიზიკის* შინაარსობრივ სფეროებში, შედარებით დაბალია შედეგები *დედამიწათმცოდნეობაში.* საბაზო საფეხურზე, ყველაზე მაღალი მიღწევები *ბიოლოგიაშია,* ხოლო *ფიზიკა* და *დედამიწათმცოდნეობა* რჩება ყველაზე კრიტიკულ სფეროებად.

- ქართველი მოსწავლეების შედეგების ანალიზი ***კოგნიტური სფეროების*** მიხედვით აჩვენებს, რომ დაწყებით საფეხურზე კოგნიტური სფეროების შედეგები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია; საბაზო საფეხურზე კი საბუნებისმეტყველო საგნებში შედარებით სუსტი შედეგები ფიქსირდება გამოყენებისა და მსჯელობის სფეროებში, ხოლო მათემატიკაში გამოყენება შედარებით ძლიერი მხარეა.

ეს მონაცემები მიუთითებს მათემატიკისა და, განსაკუთრებით, საბუნებისმეტყველო საგნების სწავლა-სწავლების სისტემური გაუმჯობესების აუცილებლობაზე. მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მიღწევების ადრეული დიაგნოსტიკა, მიზნობრივი ინტერვენციებისა და ინკლუზიური მიდგომების ეფექტიანი დანერგვა, ასევე ისეთი სწავლების გაძლიერება, რომელიც მოსწავლეებს კონცეპტუალურ გაგებას, კრიტიკულ აზროვნებასა და ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას განუვითარებს. ეს ხელს შეუწყობს როგორც მოსწავლეთა ძლიერი მხარეების განმტკიცებას, ისე სხვადასხვა შინაარსობრივ სფეროში გამოვლენილი სირთულეების დაძლევას. საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სტრატეგიული განვითარება უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო და სახელმწიფო შეფასებების შედეგების საფუძვლიან ანალიზს და იმ ფაქტორების კვლევას, რომლებიც მოსწავლეთა პროგრესს ხელს უწყობს ან აფერხებს. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა აუცილებელია არსებული გამოწვევების საპასუხოდ ქმედითი ღონისძიებების დასაგეგმად და მოსწავლეთა მიღწევების მდგრადი გაუმჯობესების საფუძვლის შესაქმნელად.

## საქართველო გლობალურ საგანმანათლებლო რუკაზე: პოზიციონირება, პროგრესი და გამოწვევები

საქართველო თითქმის ორი ათეული წელია მონაწილეობს საერთაშორისო შეფასებებში, რაც შესაძლებელს ხდის ქვეყნის განათლების სისტემის პოზიციონირება, პროგრესი და გამოწვევები *გლობალურ კონტექსტში* შევფასოთ. TIMSS-ის 2007-2023 წლების მონაცემები აჩვენებს, რომ საქართველოს განათლების სისტემა, აერთიანებს როგორც პროგრესის მკაფიო ნიშნებსა და მიღწევებს, ისე სტრუქტურულ გამოწვევებსა და გაუმჯობესების საჭიროებებს.

TIMSS-ის 2007–2023 წლების მონაცემებით, საქართველოს მოსწავლეთა შედეგები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, თუმცა გლობალურ ლიდერ ქვეყნებთან (სინგაპური, ჩინური ტაიბეი, კორეის რესპუბლიკა, ჰონკონგი...) სხვაობა კვლავ დიდია. ეს ქვეყნები TIMSS-ის შეფასებებში წლების განმავლობაში ინარჩუნებენ წამყვან პოზიციებს და მაღალი მიღწევის მქონე მოსწავლეთა განსაკუთრებით დიდი წილით გამოირჩევიან. ამასთან, ეს ქვეყნები წამყვანი ევროპული ქვეყნების შედეგებსაც მნიშვნელოვნად აჭარბებენ და TIMSS-ის შეფასებებში სტაბილურად ინარჩუნებენ გლობალურ ლიდერობას.

**ტენდენციები 2007–2023:** TIMSS-ის გრძელვადიანი ტენდენციები ასეთია - გლობალურ დონეზე სასწავლო მიღწევების ზრდა არაერთგვაროვანია, ზოგ ქვეყანაში ფიქსირდება სტაბილური პროგრესი, მაშინ როცა სხვა ქვეყნებში თვალსაჩინო რეგრესია.

2007–2023 წლებში საქართველომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესების ერთ-ერთი ყველაზე პოზიტიური დინამიკა აჩვენა. კერძოდ, მათემატიკაში, მეოთხე კლასში შედეგი 60 ქულით, ხოლო მერვე კლასში 57 ქულით გაუმჯობესდა; ბუნებისმეტყველებაში მიღწეული შედეგები შედარებით მოკრძალებულია, თუმცა, გაუმჯობესების ტენდენცია აქაც იკვეთება (47 ქულა მეოთხე კლასში და 27 ქულა მერვე კლასში).

*მაგალითად, 2007–2023 წლებში, ლიეტუვას საქართველოსთან შედარებით ნაკლები ინტენსივობით გამოხატული პოზიტიური დინამიკა აქვს (მე-4 კლასში მათემატიკაში მიღწევების გაუმჯობესება 31 ქულაა, ხოლო ბუნებისმეტყველებაში - 23 ქულა; მე-8 კლასის ბუნებისმეტყველებაში კი ლიეტუვას შედეგი საერთოდ არ შეცვლილა). თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ლიეტუვას სტაბილურად უფრო მაღალი შედეგები აქვს, ვიდრე საქართველოს.*

საქართველოს შედეგების გაუმჯობესების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატება *გაუმჯობესების გლობალურ საშუალო მაჩვენებელს*; მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ საქართველო პროგრესი **ძალიან დაბალი საწყისი ნიშნულიდან** დაიწყო – 2007 წელს ქვეყნის მოსწავლეთა შედეგები მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა როგორც გლობალურ, ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნების საშუალოს.

**ტენდენეციები 2019–2023:** TIMSS-ის 2019–2023 წლების შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო მასშტაბით, როგორც მათემატიკაში, ისე ბუნებისმეტყველებაში, მოსწავლეთა მიღწევებში ზოგადი სტაგნაცია ან უკუსვლა შეინიშნება - განსაკუთრებით მერვე კლასში. მათემატიკაში, მე-8 კლასის გლობალურმა საშუალო მაჩვენებელმა 7.55 ქულით დაიწია, ხოლო ბუნებისმეტყველებაში - თითქმის 10 ქულით. ეს შედეგი შეიძლება მიუთითებდეს გლობალურ სისტემურ გამოწვევებზე, მათ შორის პანდემიისა და განათლების პროცესში დისტანციური სწავლების გავლენაზე.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების ჭრილში შეინიშნება მკვეთრად განსხვავებული ტრაექტორიები. საქართველო იმ ქვეყნებს მიეკუთვნება, რომლებმაც 2019–2023 წლებში შედეგების გაუმჯობესება ან სტაბილურობა შეინარჩუნეს (საქართველო, ლიეტუვა, სომხეთი), ხოლო მეორე მხარესაა ქვეყნები, რომელთა შედეგებიც საგრძნობლად გაუარესდა (ყაზახეთი, აზერბაიჯანი, ლატვია). ყაზახეთის შემთხვევაში, უკუსვლა ყველაზე მძაფრად გამოიხატა როგორც მათემატიკაში, ისე ბუნებისმეტყველებაში ორივე საფეხურზე.

*TIMSS-ი და COVID 19-ის შედეგები:* TIMSS 2023-ის შედეგები შესაძლებლობას გვაძლევს, განვიხილოთ, როგორ შეიცვალა მოსწავლეთა მიღწევები COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული საგანმანათლებლო შეფერხებების შემდგომ პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ TIMSS-ის მონაცემებით პანდემიის მიზეზშედეგობრივი ეფექტის უშუალოდ გამოყოფა შეუძლებელია, 2019–2023 წლებში მონაწილე ქვეყნების უმეტესობაში გამოკვეთილი მოსწავლეთა შედეგების გაუარესების ტენდენცია გარკვეული დასკვნების საშუალებას

იძლევა. სხვა კვლევებიც აჩვენებს, რომ COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებულმა საგანმანათლებლო შეფერხებებმა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე, განსაკუთრებით მათემატიკაში, ხოლო მიღწევების დანაკარგი რიგ შემთხვევებში პანდემიის შემდგომ პერიოდშიც შენარჩუნდა (Betthäuser et al., 2023; Di Pietro, 2023)[5].

მოსწავლეთა შედეგების გაუარესების საერთაშორისო ტენდენციის (TIMSS 2019-2023 წწ) ფონზე, *საქართველოს სურათი განსხვავებულია:* კვლევაში მონაწილე ქვეყნების უმეტესობისგან განსხვავებით, ჩვენთან მოსწავლეთა შედეგები TIMSS 2019-ის მონაცემებთან შედარებით არ გაუარესებულა. პირიქით, საქართველომ, ამ პერიოდში, ძირითადად პოზიტიური დინამიკა აჩვენა: მეოთხე კლასში გაუმჯობესდა როგორც მათემატიკის (16 ქულით), ისე ბუნებისმეტყველების (11 ქულით) შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ მერვე კლასში ცვლილებები მინიმალურია, მოსწავლეთა მიღწევები მაინც სტაბილურობის ნიშნებს აჩვენებს, რაც რეგიონულ კონტექსტშიც პოზიტიური შედეგია.

მთლიანობაში, რეგიონული მონაცემების ფონზე საქართველო პოზიციონირდება, როგორც ქვეყანა, რომელიც, მიუხედავად საწყისი სუსტი პოზიციებისა, ახერხებს გარკვეული პროგრესის მიღწევას. გარდამავალი ეტაპის წარმატებით გავლისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია სისტემური და მიზნობრივი ჩარევა იმ სფეროებში, რომლებიც ხარისხიან განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას განსაზღვრავს. TIMSS-ის შედეგები აჩვენებს, რომ საქართველოს განათლების სისტემაში ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადასადგმელი საქართველოს განათლების სისტემის რეალური და სისტემური ტრანსფორმაციისთვის; ეს მოითხოვს არა მხოლოდ განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, არამედ სისტემის გლობალურ საგანმანათლებლო ტენდენციებსა და გამოწვევებთან ეფექტიან ადაპტაციას. ტექნოლოგიურმა და ციფრულმა რევოლუციამ, „ინფორმაციულ ეკონომიკაზე" გადასვლამ და ხელოვნური ინტელექტის მნიშვნელობის ზრდამ, კლიმატურმა ცვლილებებმა და COVID-19-ის პანდემიამ ცხადყო, რომ სამეცნიერო ცოდნა და ინოვაციები გადამწყვეტია საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და სიცოცხლის გადარჩენისთვის (Sharon & Baram-Tsabari, 2020)[6]. იმისთვის, რომ ქვეყანას ჰყავდეს წარმატებული, პასუხისმგებლიანი და ინოვაციებისადმი მაღალი მზაობის მქონე ახალგაზრდობა, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, განათლების პოლიტიკა ფოკუსირდეს ამ საგნების მაღალ დონეზე სწავლებაზე; განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების მხარდასაჭერად კვლევაზე დაფუძნებული, გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება და მათი ეტაპობრივი, მიზანმიმართული განხორციელება. ეს უზრუნველყოფს განათლების სისტემის მდგრადობას, ინოვაციურობასა და გლობალურ კონკურენტუნარიანობას.

---

[5] Betthäuser, B. A., Bach-Mortensen, A. M., & Engzell, P. (2023). A systematic review and meta-analysis of the evidence on learning during the COVID-19 pandemic. *Nature Human Behaviour*, *7*, 375–385. https://doi.org/10.1038/s41562-022-01506-4
Di Pietro, G. (2023). The impact of Covid-19 on student achievement: Evidence from a recent meta-analysis. *Educational Research Review*, *39*, 100530. https://doi.org/10.1016/j.edurev.2023.100530

[6] Sharon, A. J., & Baram-Tsabari, A. (2020). Can science literacy help individuals identify misinformation in everyday life? *Science Education*, *104*(5), 873–894. https://doi.org/10.1002/sce.21581

# მე-4 კლასი მათემატიკა

## მინიმალური კომპეტენციის მიღწევის  მაჩვენებელი - გლობალური ლიდერები vs პოსტსაბჭოთა ქვეყნები




## მიღწევები მათემატიკაში  - გლობალური ლიდერები და პოსტსაბჭოთა ქვეყნები




## მიღწევების გაუმჯობესების დინამიკა 2007-2023



# მე-8 კლასი მათემატიკა

## მინიმალური კომპეტენციის მიღწევის მაჩვენებელი - გლობალური ლიდერები vs პოსტსაბჭოთა ქვეყნები




## მიღწევები მათემატიკაში - გლობალური ლიდერები და პოსტსაბჭოთა ქვეყნები




## მიღწევების გაუმჯობესების დინამიკა 2007-2023



# მე-4 კლასი ბუნებისმეტყველება

## მინიმალური კომპეტენციის მიღწევის მაჩვენებელი - გლობალური ლიდერები vs პოსტსაბჭოთა ქვეყნები




## მიღწევები მათემატიკაში - გლობალური ლიდერები და პოსტსაბჭოთა ქვეყნები




## მიღწევების გაუმჯობესების დინამიკა 2007-2023



# მე-8 კლასი ბუნებისმეტყველება

## მინიმალური კომპეტენციის მიღწევის  მაჩვენებელი - გლობალური ლიდერები vs პოსტსაბჭოთა ქვეყნები




## მიღწევები მათემატიკაში  - გლობალური ლიდერები და პოსტსაბჭოთა ქვეყნები




(

## მიღწევების გაუმჯობესების დინამიკა 2007-2023



ncer.gov.ge